საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 26 დეკემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი ... დზე პეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. ... 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ... მისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 6—62.

№ 295 — ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებ სა — № 295

შაბათს, 27 დეკემბერს სოფ. ჭანჭათში (გურია) დანიშნულია საორმოცო პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებულ

**სევერიანე ქაიხოსროს ძე წულაძის**

მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა ფიდოსი, ძმა ვასილ ქაიხოსროს ძე წულაძე, რძალი მარგალიტა, ძმის წულები: სერიოჟა და თამარიკა, დები: ფიდინე და ერმონია, სიძენები: ლადიკო კალანდაძე და პართენ გოგუაძე. (უფ. 2—1)

ღრმათ დამწუხრებული დედა ეკატერინე, ძმა გიორგი მეუღლიანურთ, დები და დის შვილები, სიძე ფარნაოზ ქეიშვილი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ შაბათს 27 დეკემბერს დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფასის სახალხო გვარდიელის

**გერმანე გიჟიას ძე მარშანიშვილის**

ხსოვნის აღსანიშნავათ. სოფ. სამების (გურია) სასაფლაოზე, რომელიც გმირულათ დაეცა სომხებთან შეტაკების დროს 19 დეკემბერს, 1918 წელს. (3375 2—1)

ღრმად დამწუხრებული დედა მელანია, მამა თემურაზი, დები: პისტი ჯაყელისა და პაჭულია ასათიანისა, ძმები: დავითი და კონსტანტინე აბულაძენი, რძლები: ბარბარე ფარნაოზის ასული და ლუბა პარმენის ასული და სიძე კოსტა ასათიანი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 27 დეკემბერს ს. ოქროსქედის მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფას

**ნარო და ლუკა თემურაზის ძენის აბულაძეების**

სულის მოსახსენებლად. (3383 2—1)

მოითხოვეთ ყველგან

უმაღლესი ხარისხის

**კონიაკი და არაყი**

ი. მ. ლაზარევის

თფილისი კიროჩნი ქ. № 19. (3366—4—2)

მიიღება ხელის მოწერა

**„ეშმაკის მათრახზე“**

მხოლოდ ქალაქ გარეთ. ჟურნალი ღირს თვეში—24 მან. მისამართი: თფილისი, „ერთობის“ რედაქცია, „ეშმაკის მათრახისათვის.“ (უფ.)

## ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია

აზერბეიჯან-სომხეთის კონფერენცია გაიხსნა ბაქოში. საზეიმო ნაწილი მწყობრათ ჩატარდა. მრავალი კარგი და ჭეშმარიტი სიტყვა და აზრი წარმოითქვა. ორივე მხარე სადარბაზო სიტყვებში ერთი მეორეს კეთილ მეზობლობისა და ძმობის გრძნობებში ეფიცებოდენ. ხოლო როდესაც დელეგაციებმა თავიანთი პროგრამები წამოაყენეს, გამოირკვა, რომ ზოგიერთ კითხვებისთვის სომხეთის დელეგაცია არ აღმოჩნდა მომზადებული და კონფერენცია გადაიდო. აზერბეიჯანის დელეგაციას შეეტანია წინადადება ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკების კონფერენციის მოწვევის შესახებ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი კონფერენცია ძლიერ საჭირო და ნაყოფიერი იქნებოდა. ყოველგვარი სადაო კითხვები და მათ შორის ტერიტორიალური, უფრო ადვილათ და უმტკივნეულოთ გადაიჭრებოდა ასეთ საერთო კონფერენციაზე. ასეთ წინადადებას ყოველ შესაფერ შემთხვევის დროს აძლევდა ჩვენი მთავრობა, მაგრამ მან აქამდე ვერ პოვა სათანადო გამოძახილი სომხეთის მმართველ წრეებში. ეხლა, როგორც ირკვევა, სომხეთის დელეგაციას განუცხადებია: ასეთი წინადადების ჩვენ პრინციპიალურათ მომხრე ვართ, ხოლო წინასწარ მთავრობას უნდა მოველაპარაკოთო. გაზეთ „აზერბეიჯანის“ გადმოცემით კი ადერბეიჯანის დელეგაციას თითქოს საქართველო-სომხეთ-ადერბეიჯანის კონფერენციის საკითხიც კი დაუყენებია. საქმე ჯერჯერობით იმით გათავდა, რომ ბაქოს კონფერენცია შეწყდა იმ მიზნით, რომ თფილისში გაიხსნას ორი პარალელური კონფერენცია—ერთი სამივე რესპუბლიკისა და მეორეც სომხეთ-ადერბეიჯანის.

ჩვენ გვწამს, რომ ასეთი გადაწყვეტილება არ არის, როგორც ფრანგები იტყვიან, „ცუდი თამაშის დროს კარგი სახის ჩვენება“—არამედ ის გულწრფელადაა მიმართული იქითკენ, რომ შერიგებისა და მტკიცე კავშირის რგოლი კიდევ უფრო გაფართოვდეს.

თუ მართლა ადერბეიჯანის მთავრობამ წამოაყენა კონფერენციის კითხვა, ჩვენ ამას სიამოვნებით მივეგებებით. თუმცა ჯერჯერობით ეს კითხვა არ არის იმდენათ დამუშავებული, რომ მისი დღესდღეობით ამოწურვა და პრაქტიკულათ გადაჭრა შეიძლებოდეს, მაგრამ, თუ კი ჩვენი მეზობლები ამ საკითხს ზოგადათ მაინც დააყენებენ ეხლავე, საქართველოს მთავრობა, არამც თუ გვერდს არ აუხვევს მას, პირიქით დიდის ხალისით ჩაებმება ამ საქმის გარკვევასა და წინასწარ მუშაობაში, ვინაიდან კონფერენცია როგორც მჭიდრო და ურყევი კავშირი ამ სახალხოთა შორის, ჩვენთვის გარდამავალ პოლიტიკურ ანგარიშიანობის შედეგი კი არა, არამედ ძირითადი პრინციპიალი აზრი და მსოფლმხედველობაა. მუდამ აქეთკენ იყო და არის მიმართული საქართველოს დემოკრატიის პოლიტიკის გეზი და თუ ჩვენი მეზობლებიც ამავე გზას ადგებიან, ჩვენ მხოლოდ სიამოვნებითა და განუსაზღვრელი კმაყოფილებით შევხვდებით ამ მოვლენას.

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, სომხეთის დელეგაციას პრინციპიალურათ თანხმობა განუცხადებია საერთო კონფერენციაზე თფილისში. არ არის გამორკვეული ის ვადა, რომლითაც შეწყდა კონფერენციის მუშაობა. მისი განახლება მთავრობებს მინდობია. დიდი ხნით ამ საქმის გაჭიანურება ყოვლად მიუტევებელი შეცდომა, კიდევ მეტი—დანაშაულიც კი იქნება. დღევანდელ ისტორიულ პირობებში, როდესაც ერთი დღის ცხოვრება ჩვეულებრივ დროის ათეული წლების ისტორიას უდრის თავის შინაარსითა და მნიშვნელობით, ყოვლად მიუტევებელი იქნება საქმის გაჭიანურება. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საკითხი, როგორც სჩანს, უკვე დადგა ევროპის მუშაობის წესრიგში და ჩვენი ხმაშეწყობილი პოლიტიკური კონცერტი დიდ გავლენას მოახდენდა ჩვენდა სასარგებლოთ იქ, სადაც ჯერ არს, და ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს საგარეო სამინისტროს მიერ კვლავინდებურათ ჩინებული პარტიტურა დაიწერება ასეთი კონცერტისათვის, ხოლო სამშვიდობო ჰანგებისთვის თფილისისთანა რეზონანსი იშვიათათ აქვს ხოლმე რომელიმე დარბაზ ქალაქს.

საქართველოს დემოკრატია მოულოდნელათ მოელის თავის დედა ქალაქში ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკათა კონფერენციის ორ დელეგაციას სომხეთისა და ადერბეიჯანის. გთხოვთ, კეთილ იყოს თქვენი მობრძანება.

## მოხალისეთა მორიგი პროვოკაცია

მოხალისეთა არმია დაღუპვისაკენ მიექანება.

მან ვერ შესძლო ბალშევიკების შემუსვრა და წეს-რიგის დამყარება. პირიქით, თუ რაიმე უპირატესობაზე შეიძლება ლაპარაკი, ეს უპირატესობა უფრო ბალშევიკების მხარეზეა.

რასაკვირველია, შეუძლებელია იმის თქმა, ვითომ ბალშევიკების გამარჯვება იყოს უზრუნველყოფილი. დღევანდელ პირობებში მოსალოდნელია მხოლოდ ანარქიის განგრძობა და გაღვივება.

ეს გარემოება, რასაკვირველია, ჰკუას ვერ ასწავლის ვერც ბალშევიკებს და ვერც მოხალისეთა ლაშქარს და ეს ორი დამრღვევი ძალა კვლავ განაგრძობს თავის მოღვაწეობას: ეს არის დანაწილებულ და დანგრეულ რუსეთის შეკრება—თუმცა სხვადასხვა დროშის ქვეშ.

მაგრამ რუსეთის შეკრება დღეს ხომ შეუძლებელია ისე, თუ ყოფილ რუსეთის სხვადასხვა განაპირა ადგილები ძალით არ იქნა დამორჩილებული.

ბალშევიკებმა და მოხალისეებმა არა ერთხელ სცადეს ჩამოშორებულ ადგილების დამორჩილება, მაგრამ ამაოდ.

მოხალისეთა ლაშქარი იმედს მაინც არ კარგავდა, მით უმეტეს, რომ ევროპის იმპერიალისტები საკმაო დახმარებას უწევდენ მას ფულით და სურსათ-იარაღით.

მაგრამ იმპერიალისტები მუქთად არაფერს იძლევიან. მათ იმედი ჰქონდათ, რომ დენიკინი რუსეთში წესრიგს აღადგენდა და ანარქიას ბოლოს მოუღებდა. და რაკი მოხალისეთა ლაშქარმა ეს ვერ შესძლო, ამიტომ მას დახმარების იმედიც ნაკლებათ უნდა ჰქონდეს მომავალში.

ეს არის, რომ ფრთებს აკვეცს მოხალისეთა სარდლობას და წამხდარ საქმის გამოსაკეთებლად უკიდურეს ზომებს ღებულობს.

მოხალისეთა ლაშქრის სარდლობა ერთხელ კიდევ მიმართავს საზიზღარ პროვოკაციას. მისი განზრახვაა მოაჩვენოს ევროპას, ვითომ ბალშევიკები საქართველოს ეხმარებიან, ვითომ საქართველო ოსმალეთთან და ადერბეიჯანთან კრავს კავშირს სომხეთის წინააღმდეგ. ამ უსირცხვილო პროვოკაციით მოხალისეთა ლაშქრის სარდლობა ფიქრობს ერთბაშად ორი კურდღლის დაჭერას: მას სურს გაგვშაოს ევროპის თვალში და იმავე დროს გადაგვემტეროს სომხეთს, აუქრას ამ უკანასკნელს ცრუ იმედები, ვითომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კავშირში კი არ არის ხსნა, არამედ მოხალისეთა ლაშქრის ერთგულებაში.

მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს პროვოკაცია უკანასკნელი ამოკვნესაა მომაკვდავის, ის ნათლად გვიმტკიცებს მოხალისეთა ლაშქარის ფიზიკურ განადგურებასთან ერთად მის მორალურ გათახსირებასაც.

და საქართველოს დემოკრატიას მოხალისეთა პროვოკაცია კიდევ მეტს სიმტკიცეს შესძენს თავის უფლებების დაცვის საქმეში.

და არა გვგონია, რომ სომხის დემოკრატიამაც არ ისარგებლოს განვლილ დროთა მწარე გაკვეთილებით და დენიკინის პროვოკაციას ზიზღით არ შეაქციოს ზურგი.

## მიწების ყიდვა-გაყიდვა

(განის წერილის გამო)

III

რაც შეიძლება ნაკლები დაბრკოლება და შეზღუდვა ეკონომიურ ცხოვრების; მეტი ყურადღება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მაგრამ იმავე დროს კერძო თაოსნობისათვისაც თავისუფლების მინიჭება—ასეთია ის პრინციპი, რომელიც მგონი ყველას გვაერთებს.

მაგრამ პრინციპი მაშინ არის კარგი, როცა ის ცხოვრებაში ტარდება.

ამიტომ მიწათმოქმედების სამინისტროს პროექტი იმ სახით, რომლითაც ის წარდგენილია კომისიაში, მიუღებელია.

რაში გამოიხატება ამ პროექტის დედა-აზრი? ის პრინციპიალურად თანახმაა იმას, რომ უკვე საჭიროა ყოფილ ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილების შეცვლა, ე. ი. სამინისტრო თანახმაა, რომ სასოფლო მამულებზე დადებული აკრძალვა აიხსნას, მაგრამ შუა გზაზე ჩერდება: ერთის მხრით ის ყოველ კერძო შემთხვევაში მინისტრის ნებართვას მოითხოვს, ხოლო მეორე მხრით ერთიან ავიწროვებს წრეს იმ პირებისას, რომელთაც გაყიდვის უფლება უნდა მიეცეს.

ნებართვის სისტემა თავისთავათ არ არის მისაღები, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში შესაძლოა მისი დაშვება. უმთავრესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ჩარჩოებში იქნება ჩაყენებული თითონ მინისტრი ნებართვის მიცემის დროს. სრულიათ ხელ-ფეხის გახსნა კანონმდებელს არ შეუძლია და სამინისტრო თვით აწესებს პროექტით ერთგვარ საფუძველს: მიწების გაყიდვის უფლება უნდა მიეცეთ იმათ, ვინც ჩვენი რესპუბლიკის ქვეშევრდომი არ არის და სამშობლოში დაბრუნებას აპირებს, ან ვინც გაღარიბდა და ფული არ აქვს, რომ შვილები გამოზარდოს სასწავლებელში, ან ავათმყოფია და სახსარი არ აქვს, რომ იექიმოს.

ყოვლად მიუღებელია ეს საზომი. რა ვუყოთ მერე, რომ უცხოელი მიდის? მას შეუძლია მოურავს ჩააბაროს თავისი მიწა და ისე ისარგებლოს.

რა აქვს საერთო აგრარულ რეფორმას გაღარიბებასთან? ან ამ სიძვირის დროს რითი დაუმტკიცებთ მთხოვნელს, რომ მას საკმაო სახსარი აქვს ბავშვების აღსაზრდელათ?

მე ვფიქრობ, რომ რაკი სამინისტრო პრინციპიალურად იზიარებს აზრს გაყიდვის შესაძლებლობისას, ასეთს შევიწროებას და შეზღუდვას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

და არ მგონია, რომ მართლა სამი მიმართულება იყოს გაჩენილი ამ კითხვის გარშემო, როგორც განი ფიქრობს. არა. არსებობს მხოლოდ ორი მიმართულება: ერთს სურს ისევ ძალაში დარჩეს 23 თებერვლის დადგენილება. მეორეს კი უნდა მისი შეცვლა. მიწად-მოქმედების სამინისტროც ამის მომხრეა, რასაკვირველია, იმდენათ, რამდენათ ეს მიწის რეფორმას ხელს არ უშლის.

მეც იმ აზრისა ვარ, რომ სწორედ ამ სახით, ამ ფარგლებში უნდა დაისვას ეს კითხვა: მიწის ყიდვა-გაყიდვის სრული თავისუფლება იყოს იქ, სადაც ჩამორთმევა დასრულებულია; მინისტრის ნებართვით ხდებოდეს ეს ყიდვა-გაყიდვა იქ, სადაც ჩამორთმევა ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

ზოგს ჰგონია, რომ ყიდვა-გაყიდვის დაშვება სახელს გაუტეხს აგრარულ რეფორმას: გუშინ წაართვით, დღეს კი ყიდვის უფლებას აძლევთო.

მართალი უნდა ითქვას: ის, ვისაც მიწა ჩამოერთვა, არასოდეს ამ ჩამორთმევას სამართლიან მოქმედებათ არ ჩათვლის. ეროვნულ დემოკრატები სრულიად გულწრფელად თვლიან აგრარულ რეფორმას ყაჩაღურ აქტად. მათს ფსიხოლოგიას სხვა რამის თქმა არ შეუძლია.

ის მემამულე, რომელსაც გუშინ მიწა ჩამოართვეს, დღეს მიწას არ იყიდის, კიდეც რომ ბევრი ჰქონდეს ფული. ის პირიქით უმეტეს შემთხვევაში გაჰყიდის იმ მიწას, რომელიც ნორმაში დაუტოვეს, სხვათა შორის იმიტომ, რომ გლეხები არ უწევენ მას ტკბილ მეზობლობას. მეტადრე ისეთი მემამულე, რომელიც თითონ არ ეწეოდა და არც ახლა ეწევა მეურნეობას. უნდა ვიფიქროთ, ასეთი ყოფილი მემამულე მამულში ალებულ ფულს ვაჭრობაში დაატრიალებს, გლეხი კიდევ ნაყიდ მამულს დაამუშავებს.

მართალია, შეუყიდის უფრო შეძლებული გლეხი. მაგრამ მერე რა? ჩვენ ხომ არ ჩამოგვირთმევია უკანასკნელ ადლამდი მიწა იმათთვის, ვინც თითონ არ ამუშავებს, რადგან იმ თავიდანვე კარგათ გავუსინჯეთ კბილები ესერების „გათანასწორებულ“ მფლობელობას ხანგამოშვებითი გადანაწილებით.

მაშ რა საბუთით არ აძლევთ მიწის გაყიდვის ნებას იმას, ვის საკუთრებაშიაც თქვენ დასტოვეთ ეს მიწა?

კიდევ მეტყვიან: დატოვების ნორმა გვაქვს, ყიდვის ნორმაც უნდა იყვესო, ე. ი. მაქსიმუმის დაწესებას მოითხოვენ.

მაგრამ იმას, რაც პირველ წერილში ვთქვი მფლობელობის მაქსიმუმის შესახებ, უნდა დავუმატო კიდევ შემდეგი. ვთქვათ დროებით დავაწესეთ შეძენის საზღვარი. მერე როგორ გინდათ ამ ზომის პრაქტიკული განხორციელება? ივანეს სურს პეტრესაგან იყიდოს მიწა. პეტრეს ნება აქვს გაყიდოს, მაგრამ ივანესგან მოითხოვთ დამტკიცებას შვიდი დესეტინის მეტი ხომ არ გაქვსო. როგორ, მიწის მზომელი მოიწვიოს ივანემ, რომ თავისი მამულები გაზომოს, თუ შაბლონურ მოწმობას დასჯერდებით, რომ მას მაგალითად ხუთი დესეტინა ქვს და კიდევ შეუძლია ორი დესეტინის შეძენა. გაზომვას გარდა კატეგორიის გამორკვევაც ხომ საჭირო იქნება?

და მერე რისთვის უნდა შემოვიღოთ ასეთი გრძელი და ძვირი პროცედურა? თითქოს ჩვენს დაწესებულებებს უამისოდ ცოტა საქმე ჰქონდეს გასაკეთებელი.

ყოველივე აკრძალვა უნდა მოისპოს იმ რაიონებისათვის, სადაც მიწების ჩამორთმევა დასრულებულია და 23 თებერვლის დადგენილებაც ამ მხრით უნდა შეიცვალოს. გ. ნ.

## ცოტა რამ სასოფლო მართველობაზე

ვინც ცოტად მაინც უკვირდება დღევანდელ ჩვენ ცხოვრებას, ის ცხადათ შეამჩნევს ერთ დიდ ნაკლს ჩვენი მართველობის საერთო სისტემაში.

როდესაც დამფუძნებელი კრება იმუშავებს ერთდროულ გადასახადს, ან სანიტარულს, სამაზრო ერობები, ან და ცენტრალური მთავრობა ღებულობენ პრაქტიკულ ხასიათის ზომებს ეკონომიურ აღორძინების სფეროში, ან სხვა რამე დარგში. არაა ზედმეტი დავსვათ ის საკითხიც, თუ ვინ უნდა მოიყვანოს ყველა ეს სისრულეში ბოლოს გამოდის, რომ დასახელებულ ზომებზე უნდა იზრუნოს ან მილიციამ, ან სამაზრო ერობებმა იმავე მილიციის, ან არსებული სათემო ერობების საშუალებით, ან და სამინისტროს მოხელეებმა. ჩვენ ბევრი საბუთები გვაქვს იმისი, თუ რა დომხალი ბატონობს დღეს სამაზრო ცენტრებში, სადაც თავმოყრილია ათასგვარი მოთხოვნილებანი, რომელთა უმრავლესობა დაუკმაყოფილებელი რჩება, რაც იწვევს ხალხის ფართე მასსის სამართლიან გულისწყრომას. ერთხელ და სამუდამოთ უნდა მივიღოთ ის უბრალო დებულება, რომ მილიციის საშუალებით ეკონომიური აღორძინება, სამინისტროს მოხელეებით სტატისტიკის მოგვარება, ან დღეს არსებულ სათემო გამგეობათა მეოხებით სამხედრო მობილიზაციის ჩატარება—დაუშვებელი უტოპიაა. ის ბიუროკრატიზმი, რაც თანდათან ვითარდება ჩვენი მთავრობის ცენტრალურ დაწესებულებებში და რომელიც ყოველ იქვს გარეშეა გადაედება, როგორც სენი, ჩვენს სამაზრო ერობებსაც.

რამდენათაც რთულდება იქ მუშაობა და ფართოვდება მათი მოქმედების სფერო, გახლავთ შედეგი და როგორც ასეთი ის იარსებებს მანამდე, სანამ მისი გამომწვევი მიზეზი, რომელიც იმალება მთელი მართველობის სისტემაში, შეუცვლელი დარჩება.

მხოლოდ ბრმა ვერ შენიშნავს, რომ ჩვენ მართვა-გამგეობის სისტემას აკლია დასრულება. ჩვენ გვაქვს ცენტრალური მთავრობის აპარატი, სამაზრო ერობები, თემის ერობები და მაინც არ არის დასკვნა, არის შენობა, სახურავი, კედლები და ვერ ვხედავთ საძირკველს. თვით ხალხი, სოფლის მცხოვრები, რაც შეადგენს ნამდვილ დემოკრატიას, სდგას განზე, შეყურებს გამგეობებს და ნაკლებ მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფოს ცხოვრებაში, მთელი მისი მონაწილეობა განისაზღვრება წელიწადში ერთხელ ან 3 წელში ერთხელ არჩევნებით. ხალხის მართველობას, როდესაც ის თვით ჩაბმული უნდა იყოს სახელმწიფოებრივ მუშაობაში, ჩვენ ვერ ვხედავთ. აი სწორეთ ეს გახლავთ ბიუროკრატიზმი, და არა ქაღალდების დროზე მიუღებლობა ან პასუხის მათზე დაგვიანება, რასაც ჩვენში ბიუროკრატიზმს უწოდებენ.

ბევრი ჩვენგანი დიდ ბედნიერებად სთვლის იმ გარემოებას, რომ ჩვენ გვიხდება ახალი წყობილების დამყარება, რომ ჩვენი ქვეყანა ნამდვილი tabula rasa, რომელზედაც შეგვიძლიათ იდეალურ რეფორმების დახატვა და მათ ცხოვრებაში გატარება. ჩვენის აზრით ეს არა თუ არ არის ბედნიერება, პირიქით, დიდი უბედურებაა. სწორეთ ამით, წარსული ტრადიციების, დაგროვილ გამოცდილების უქონლობით აიხსნება ის პირველ შეხედვით გასაოცარი მოვლენა, რომ ჩვენი იდეალური კანონმდებლობა ცხოვრებაზე ნაკლებ გავლენას ახდენს.

ამ გვარ მოვლენის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა ვიხელმძღვანელოთ გარეშე დაწინაურებულ ქვეყნების მდიდარ გამოცდილებით, ჩვენი პირობების უკეთ შესწავლით და ვერიდოთ ე. წ. „ოტსებიატიანას“, განსაკუთრებით ცხოვრების ისეთ სფეროში, რასაც კავშირი აქვს ხალხის ფართე მასასთან და მის ყოველდღიურ საჭიროებასთან.

ათასი თეორეტიული მოსაზრება, რომ მოიყვანოთ, ვერ გაექცევით იმ ფაქტს, რომ დღევანდელი სოფელი, როგორც თავისებური ერთეული, განსაზღვრულ ტერიტორიით, ხშირად თავის ეკლესიით ან სკოლით (დასავლეთ საქართველოში), თავის ყოველდღიურ ჭირვარამით, მაინც წარმოადგენს იმ პირველ საფეხურს, რომელზედაც დაყრდნობილია ბოლოს და ბოლოს სახელმწიფოს შენობის მთელი სიმძიმე.

გვეტყვიან—რა დროს სოფლის ერთეულებზეა ლაპარაკი, როდესაც ბევრ ალაგას სათემო საზოგადოებრივი ერობებიც არ არიან შემოღებულნიო. ჩვენ სწორედ ასეთი აზროვნების ხალხი გვყავს მხედველობაში და მათ ვეუბნებით დაიწყონ საქმე საძირკვლის გამაგრებიდან და შემდეგ იზრუნონ შენობის სხვა ნაწილებზე. ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, როგორც სამაზრო ერობა, ისე სათემო ერობები უძლურნი არიან მოუარონ სოფელს ზევიდან. პრაქტიკული მოღვაწეობა ჩვენ გვაძლევს საბუთს, რომ დღევანდელი თემი, რომელიც შესდგება რამოდენიმე სოფლიდან, ვერ წვდება სოფლის საჭიროებებს. საზოგადოების თემს გაყავს (მაგალითად) ის გზა, რომელიც ერთ თემიდან მეორე თემზე გადის, მაშინ როდესაც შიგ სოფელში გასაყვანი გზა სრულიად უყურადღებოთ რჩება. ბაჩა.

(დასასრული იქნება).

## უკანასკნელი ცნობები

ადერბეიჯანის მთავრობის დეკლარაცია.

22 დეკემბერს პრემიერ უსუბეკოვმა დეკლარაცია გამოაქვეყნა, რომლის მთავარი მუხლები შემდეგში გამოიხატება: უწინარეს ყოვლისა დეკლარაცია მწუხარებით აღნიშნავს, რომ რუსეთის არც ერთ მებრძოლ ძალთაგანს ჯერ არ გა-

# დღეს

**უმაღლესი საბჭოს აზრს გერმანიის ყოფილ ახალშენების განაწილების შესახებ იაპონია არ იზიარებს.**

**საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი მოწვეული იქნება ივლისის 31 ს.**

**საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევა იანვრის 17 ს მოხდება.**

**კოპენჰაგენის მოლაპარაკების შედეგით გერმანული პრესა ბოლშევიზმის დიპლომატიას საბოლოოთ დამარცხებულად სთვლის.**

**ბოლშევიკების ცნობით—ინგლისმა გადაწყვიტა განაახლოს საბჭოთა რუსეთთან შეწყვეტილი მოლაპარაკება; საბჭოთა ჯარმა ტომსკი აიღო.**

მოურკვევია თავისი დამოკიდებულება ახლათ დაარსებულ სახელმწიფოებისადმი; ადერბეიჯანი სალამს უძღვნის ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციის იდეას; დეკლარაცია თანაგრძნობით ეკიდება დაღესტანის ბრძოლას თავდამსხმელთა წინააღმდეგ და იმედს გამოსთქვამს, რომ ისიც შევა კავკასიის რესპუბლიკათა მომავალ კონფედერაციაში; წინადადება ეძლევა პარლამენტს ნუ მოუცდის დამფუძნებელ კრების გადაწყვეტილებას და გადასცეს მიწა გლეხებს; მთავრობა არ ჩაერევა მუშების ცხოვრებაში ისე, როგორც მუშებმა და მათ ორგანიზაციებმა არ უნდა ჩაერიონ პოლიტიკურ სფეროში; საშინაო პოლიტიკაში მთავრობა ეცდება გააუქმოს საგენერალ გუბერნატოროები და მათ ალაგას შექმნას სამოქალაქო მთავრობა; სასურსათო საკითხის მოსაგვარებლათ მთავრობას განზრახული აქვს მიიღოს ფართე სახელმწიფოებრივი ზომები.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

25 დეკემბერი.

**გერმანული პრესის ცნობები.**

გერმანულ ავსტრიის მშიერ ბავშვთა დამხმარე ადგილობრივ კომიტეტების დაარსების შესახებ გამოშვებულ მოწოდებას გერმანიის მრავალმა ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ ხელი მოაწერა.

აღმოსავლეთ პრუსიის ზოგიერთ ადგილას ბანდებს სურდათ საზღვრები გადალახათ, მაგრამ გერმანიის მოდარაჯე რაზმმა ისინი უკუ აქცია. გერმანელების მხრივ დანაკლისი არ არის. ბანდებში კი რამდენიმე დაჭრილი უნდა იყოს, რომლებიც მათვე წაიყვანეს.

გერმანიაში მოსავალი იყო, მაგრამ ხორბალი იკმარებს მხოლოდ რამდენიმე ხანს და შემდეგ პურით უზრუნველსაყოფად. (გაუთავებელია).

კოპენჰაგენის მოლაპარაკების შედეგებს „კელნიშე ცაიტუნგი" ბოლშევიზმის დიპლომატიის საბოლოო დამარცხებად სთვლის. ევროპამ ეხლა იცის, რომ ბოლშევიზმი გაკოტრდა და იგი საეჭვო მანევრებით ცდილობს ხელიდან გასხლეტილი კრედიტი დაიჭიროს. ამის შემეცნება რუსეთის განაპირა სახელმწიფოებს თავისუფალ სუნთქვის საშვალებას აძლევს. ბოლშევიკების სახელით მოლაპარაკე ლიტვინოვმა საშვალება მოგვცა გაგვეგო, რომ საბჭოთა რესპუბლიკა იძულებულია მსოფლიო რევოლიუციის მოხდენაზე ხელი აიღოს. კოპენჰაგენში, ეს უკანასკნელი აკორდი და კულმინაციური წერტილია ბოლშევიზმის განვითარებისა.

დამოუკიდებელ სოციალისტების პარტიაში ლეიპციგის პარტეიტაგზე 13 მიმდინარეობა გამოჩნდა, მათ შორის გილფერდინგისა (შეერთება ჟენევასთან), ლედებურისა (არც ჟენევა და არც მოსკოვი), შტოკერისა (მოსკოვთან შეერთება), კრისპენისა და სხვების...

სომხეთში მყოფ ამერიკის კონსულების მოხსენებებიდან სჩანს, რომ ცნობა იმის შესახებ, თითქოს გერმანია სომხების დევნაში მონაწილეობას იღებდა, კრიტიკას ვერ უძლებს. პირიქით, გერმანია ენერგიულად მუშაობდა დევნილ სომეხთა მდგომარეობის შესამსუბუქებლადო.

ინგლისიდან გერმანიაში მოსულ ფრანგულ ცნობით პარიზში ჩამოუყვანიათ 350 გერმანელი სამხედრო ტყვე გასასამართლებლად ომში მათ მიერ ჩადენილ ბოროტ-მოქმედებისათვის.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

რომიდან იუწყებიან, რომ ვენიზელოსი ათინაში მოლაპარაკებას აწარმოებს იტალიის მიერ გამოცხადებულ თანხმობის გამო საბერძნეთისათვის დოდეკანესის დათმობის შესახებ. იტალია თავისთვის იტოვებს მხოლოდ კუნძულს სტამპალიას, როგორც საზღვაო ბაზას აღმოსავლეთში.

მთელი საფრანგეთის პრესა ადასტურებს, რომ ეროვნულ ესხზე პირველი დღის ხელის მოწერამ ყოველგვარ ოპტიმისტურ მოლოდინს გადააჭარბა.

საფრანგეთის სენატმა სამშაბათს მიიღო კანონ-პროექტი 1925 წელს საერთაშორისო საკოლონიო გამოფენის მოწყობის შესახებ.

კუანკარეს მოადგილეს ამორჩევა 17 იანვრისთვის დაინიშნა.

ჟენევიდან იუწყებიან, რომ საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის ჟენევაში მოწვევა 31 ივლისისათვის არის დანიშნული.

გუშინ დილანდელ განცხადების წინააღმდეგ ფონ-ლერსნერმა ნაშუადღევს საზავო კონფერენციის სამდივნოს აცნობა, რომ იგი ფონსიმსონთან ერთად არ წავა ბერლინში, მოკავშირეთა პასუხის გამო თავისი მთავრობისაგან ინსტრუქციების მისაღებად. გერმანელმა საზღვაო ექსპერტებმა გუშინ საღამოს დასტოვეს პარიზი და გერმანიისკენ გაემგზავრენ.

უმაღლესი საბჭო კამბონის თავმჯდომარეობით არჩევდა კონვენციების პროექტს გერმანიის ყოფილ კოლონიებზე მანდატების მიცემის შესახებ და მიიღო ის კონვენციები, რომლებიც აღმოსავლეთ აფრიკის ტერიტორიებს ეხება... რაც შეეხება წყნარი ოკეანისა და აფრიკის ტერიტორიებს, რომელნიც მანდატურ სახელმწიფოთა შემადგენლობაში უნდა შევიდეს,—იაპონიამ ამის საწინააღმდეგოთ განაცხადა, რომ მანდატი წყნარი ოკეანის კუნძულებზე ავსტრალიის გადაეცემა, მაშინ დაიჩაგრება იაპონიის ინტერესები, გადასახლების აკრძალვის გამო და ამ გვარათ იაპონიის მდგომარეობა ბევრათ უფრო უარესი იქნება, ვიდრე ომამდე იყო, როდესაც გერმანიასთან განსაკუთრებულ შეთანხმების წყალობით იაპონიას იმიგრაციის საშუალება ქონდა. ამის გამო იაპონიის წარმომადგენელმა ამ ტერიტორიათა შესახებ კონვენციების დასტურების საკითხი იაპონიის მთავრობის მიერ თანხმობის გამოცხადებამდის გადასდო.

**ბოლშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი** დეკემბრის **24** სამხედრო ცნობები. დეკ **24**. ნარვის რაიონში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. პლოცკის რაიონში უშაჩის მიმართულებით საარტილერიო ბრძოლაა. ჟიტომირის მიმართულებით ჩვენი ჯარი განაგრძობს წინსვლას უკაჩ ტინისაკენ; მან უკვე აიღო სოფლები 5 ვერსის მანძილზე კაზატინის ჩრდილოეთით. კიევის რაიონში ჩვენმა ჯარმა ბრძოლით აიღო ქ. ფასტოვი. აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა აიღო ქ. ვასილკოვი, და მთელი რიგი სოფლებისა ვასილკოვის სამხრეთ-დასავლეთით. მდინარე დნეპრის ნაპირზე ჩვენ ავიღეთ ქ. ტრიპოლიე. კრემენჩუგის მიმართულებით ჩვენ ავიღეთ ქ. კრემენჩუგი. კრემენჩუგის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარი დნეპრს მიადგა. იზიუმის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა აიღო ქ. იზიუმი და გამოვიდა მდინარე დონეცზე, მტერი სლავიანსკის მხრივ იხევს. ბახმუტის მიმართულებით ჩვენი ცხენოსანი ჯარი გამოვიდა ბახმუტის ჩრდილოეთით 15 ვერსზე. დამატებითი ცნობების მიხედვით ბუდენოვის ცხენოსანმა რაზმმა სადგურ სვიატოვოს სამხრეთით დაამარცხა კორპუსი მამონტოვისა, შკუროსი, ულაგაიასი და აგრეთვე დივიზია ჩელნოკოვისა. ლუგანსკის მიმართულებით ჩვენი მოწინავე რაზმი მიადგა დონს სლავიანო-სერბსკის მახლობლად. სტარობელსკის აღმოსავლეთით ჩვენ ბრძოლით ავიღეთ ბელოვოდსკი. ლისკი-მილლეროვოს რკ. გზის რაიონში ჩვენმა ჯარმა უკუ აქცია მოწინააღმდეგე და გამოვიდა გრეკოვო-სტეპანოვკა-ოლხოვსკი-ვერხნეჩირსკის ხაზზე და მოწინავე რაზმით აიღო მაკეევკა. უსტ ხოპიორის რაიონში ადგილობრივი ხასიათის ბრძოლა სწარმოებს. ბარნაულის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. ნოვონიკოლაევსკის რაიონში სასტიკი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა აიღო სადგური ლიტვინოვო. ტომსკის რაიონში 20 დეკემბერს ჩვენმა ჯარმა აიღო ქ. ტომსკი.

**ბაშკირთა რესპუბლიკა.** სტერლიტამაკი. დეკემბრის 20. ბაშკირთა რევოლ. კომიტეტმა ბაშკირეთის რესპუბლიკის ყველა კანტონებს დაუგზავნა ასეთი ტელეგრამა: 20 დეკემბერი დღეა ბაშკირეთის რესპუბლიკის გამოცხადებისა: ავტონომიური ბაშკირეთის საბჭოთა რესპუბლიკა მტკიცეთ დაიჭერს ხელში შრომის დროშას და ამ დიდებული დღის მოსაგონარათ ვაცხადებთ 20 დეკემბერს საერთო უქმე დღეთ".

**ნაუენი. 24** დეკ. უნგრეთი თანახმაა გააგზავნოს პარიზში სამშვიდობო დელეგაცია, თუ აღსრულებულ იქნება შემდეგი პირობები: 1) „თუ უმაღლესი საბჭო დასცლის ყველა ნაწილებს უნგრეთის ტერიტორიისას, მის მიერ დაჭერილს; 2) თუ მოკავშირეთა კომისია გამოარკვევს რუმინელთაგან მოხდენილ რეკვიზიციის რაოდენობას და რუმინია აანაზღაურებს ამ ზარალს; 3) თუ განთავისუფლებულ იქნება სამი საზოგადო მოღვაწე, რომელთა მიერ დატყვევებული.

**ნაუენი. 24** დეკ. კოპენჰაგენში განახლდა მოლაპარაკება ლიტვინოვსა და ო გრედის შორის. გაზეთების ცნობით ინგლისმა გადასწყვიტა განაგრძოს დაწყებული მოლაპარაკება. საფრანგეთი თუმცა ყოყმანობს, მაგრამ წინანდელთან შედარებით ნაკლებ წინააღმდეგობას უწევს.

**ორში.** დეკ. 23. ანტანტამ პასუხი მოსთხოვა საზონოვს იმ ნოტის შესახებ, რომელმაც კოლჩაკმა იაპონიას დახმარება სთხოვა. საზონოვმა უპასუხა: პირველ ყოვლისა კოლჩაკი იძულებული გახდა იაპონიისთვის მიემართა, ვინაიდან მოკავშირენი დროზე არ დაეხმარენ, გარდა ამისა, ანტანტას უფლება არა აქვს განმარტება მოსთხოვოს სახელმწიფოს, რომელთაგანაც მას დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს და რომელსაც კონფერენციაზე ოფიციალური თავისი წარმომადგენლები არ ჰყავსო.

# მუშათა სახლის გახსნა.

კვირას, 28 დეკემბერს, დილის 12 საათზე გაიხსნება მუშათა სახლი რუსთაველის პრ. № 16, არამიანცისა. საზეიმოთ მოწყობილ დილაზედ მოწვეულ იქნებიან საპატიო ბარათებით სტუმრები შემდეგი დაწესებულებებიდან: მთავრობიდან, ქალაქის თვითმართველობიდან, დამფუძნებელი კრებიდან, საქართველოს კოპერატივთა კავშირიდან, ქალაქის თვითმართველობის შრომის განყოფილებიდან, შრომის ბირჟიდან, დამფუძნებელი კრების მუშათა კომისიიდან, მუშათა კლუბებიდან, სახალხო უნივერსიტეტიდან, ეროზიდან(?), ყველა პროფესიონალური კავშირების გამგეობის წევრები, საქარხნო კომიტეტებისა და დელეგატები საბჭოსი.

პროფესიონალური კავშირების სეკრეტარიატი იღებს რა მხედველობაში, რომ მუშათა სახლის გახსნას და მის ისტორიას აქვს თფილისის პროლეტარიატის ცხოვრებაში მნიშვნელობა როგორც მორალური, აგრეთვე პოლიტიკური, ამიტომ მოუწოდებს ყველა ჩამოთვლილ დაწესებულებათა პირებს მიიღონ მუშათა საზეიმო დილაზე მხურვალე მონაწილეობა და ამით ერთხელ და სამუდამოთ დაანახონ შინაურ და გარეშე მტრებს, რომ ყველა დემოკრატიული დაწესებულებანი საქართველოს რესპუბლიკის დედა ქალაქ თფილისისა და ყველა ბელადები და მეთაურები მუდამ ერთად იქნებიან ლხინშიაც და ჭირშიაც თფილისის პროლეტარიატთან და შეუდრეკელი ძალით განაგრძობენ წინსვლას დიდი მომავლისაკენ.

გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საქართველოს პროლეტარიატს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

პროფ. კავშირთა **სეკრეტარიატი.**

# ახალი ამბავი

**დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომ. ტეტის სხდომა.**

**◆ შარა-გზებით ხორბლის გაზიდვის აკრძალვა.** მომარაგების სამინისტრომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყა, რომ ის ყოველგვარ ზომებს იღებს საქართველოდან ხორბლეულობის გაზიდვის საწინააღმდეგოდ რკინის გზებით უკვე შეწყვეტილია ხორბლეულობის გატანა. მაგრამ შარა-გზებით მაინც დიდ ძალი ხორბლეულობა გააქვთ ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცირკულიარული წინადადება მისცა ყველა სამაზრო ერობებს, ფინანსთა სამინისტროსა და სანაპირო რაზმის უფროსს, ზომები მიიღონ გზატკეცილებით ხორბლეულობის გაზიდვის საწინააღმდეგოდ.

**◆ რკინის გზის მასალები ადერბეიჯანისათვის.** ადერბეიჯანის გზათა სამინისტროს წინადადებით ბაქოში გაემგზავრა ინგლისის ფირმის „ლევანდტი"-ს წარმომადგენელი. ადერბეიჯანის მთავრობა მოლაპარაკებას მართავს ხსენებულ ფირმის წარმომადგენელთან, რათა უკანასკნელმა სისტემატიურად მიაწოდოს ადერბეიჯანს მასალები რკინის გზის გასაფართოებლად.

**◆ საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს კონფერენცია.** შაბათს, 27 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, მუშათა სასახლეში (მეორე სართული, ოთახი № 2) დანიშნულია საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს კონფერენცია. დღის წესრიგი: 1) აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენება ა) თავის მუშაობისა და ბ) ჟურნალის შესახებ; 2) მოხსენებები ადგილებიდან; 3) მოხსენება სატარიფო პალატის მოქმედების შესახებ; 4) მოხსენება იაფფასიანი სანოვაგის მიწოდების შესახებ; 5) ჟურნალი „მუშათა ცხოვრების" ყოველკვირეულ ორგანოთ გარდაქმნის შესახებ; 6) აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა დამატებითი არჩევა; 7) შრომის ბირჟის შესახებ; 8) საანკეტო ფურცლების გამომუშავება; 9) ხუთ პროცენტიანი გადასახადის შესახებ და 10) მიმდინარე საკითხები. კონფერენციაზე მოწვეულია აგრეთვე იმ საბჭოების წარმომადგენლები, რომლებიც დაარსებულია პროფესიონალურ კავშირთა პირველი ყრილობის შემდეგ.

**◆ რესპუბლიკის გადასახადთა და სახელმწიფო საზინის** სამართველოს გადასახადთა ინსპექციის და საზინების მოსამსახურეთა ცენტრალური პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ 24 ამა დეკემბერს თხოვნა მიართვა დამფუძნებელი კრების სოციალ დემოკრატიულ ფრაქციას და საბიუჯეტო კომისიას. ამ თხოვნებში გამგეობა, აღნიშნავს რა მოსამსახურეთა უმწეო მდგომარეობას, სთხოვს ხსენებულ ფრაქციას და კომისიას მიიღონ ზომები ფინანსთა სამინისტროს მიერ წარდგენილ პროექტის (ჯამაგირების გადიდების შესახებ ამა წლის 1 ოქტომბრიდან) საჩქაროდ დასამტკიცებლათ, რითაც მოსამსახურეებს საშუალება მიეცემათ ოდნავ მაინც გაიუმჯობესონ მატერიალური მდგომარეობა.

**◆ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის წესიერ საქმიანობისათვის.** იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებულ ცნობით, ზოგიერთი მომრიგებელი მოსამართლეთა და სამომრიგებლო ყრილობათა თავმჯდომარენიც ნებადაურთველად მიდიან თავთავიანთ უბნებიდან, ამიტომ სამინისტრომ განმარტება მოსთხოვა იმ მოსამართლეთ, რომელთა შესახებ ასეთი ცნობები ჰქონდა, და საერთო განკარგულება გასცა, რათა მომრიგებელი მოსამართლენი და სამომრიგებლო ყრილობათა თავმჯდომარენი თავიანთ რეზიდენციას არა შორდებოდნენ თუ არ კანონიერის წესით მიღებულ თავისუფლების დროს.

**◆ სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღ. 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: 2 განყ. (ვერა) 1) ა. ჟორჟოლიანი „19 საუკ. ისტორია" 2) ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები" 6 განყ. (ერთობის უბანი) 1) ექ. ტურიაშვილი „გიგიენა" 2) შალამბერიძე „ქიმია". 7 განყ. (საბურთალო) 1) ბარნოვი „ქართული მწერლობა", 2) ანთაძე „საქართველოს ისტორია". 8 განყ. (ავლაბარი) 1) ი. ნაკაშიძე „სახელოვან კაცთა ცხოვრება" 2) რაჭველიშვილი „სოციალური ბრძოლა ძველ რომში".

**◆ სასამართლოს გამომძიებელთა კამერების საქმიანობის გასაუმჯობესებლად.** რადგან სასამართლოს გამომძიებელთა კამერების დათვალიერებამ და მათის საქმეების გაცნობამ ნათელჰყო, რომ უმთავრესი მიზეზი, რომელიც აბრკოლებს გამომძიებელთა წესიერს საქმიანობას, ეს ძველი საქმეებია, რაც ბალასტად აწევს გამომძიებლის კამერას და შეძლებას არ აძლევს მას ჯეროვანის ყურადღებით მოეპყრას ახალ საქმეებს, იუსტიციის სამინისტროს განკარგულებით დაწესდა დროებითი საგანგებო კომისია ხსენებულ „ბალასტის" გასაწმენდად. კომისიის წევრნი ჩაიბარებენ უბნის გამომძიებლებისაგან ძველ საქმეებს და დააბოლოვებენ მათ გამომძიებლების უფლებებით, უბნის გამომძიებელნი კი, ძველ ტვირთ მოშორებულნი, უფრო ნაყოფიერად იმუშავებენ ახალ საქმეების სასწრაფოდ გამოსაძიებლად. დაახლოვებითის გამოანგარიშებით, საერთო რიცხვი ძველ დაუმთავრებელ საქმეებისა, რომლებიც დაწყებულნი არიან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღემდე, უდრის გამომძიებლების ხელში მყოფ საქმეების თითქმის 80 პროც.

**◆ კამერების დათვალიერება.** იუსტიციის სამინისტროს მიერ თფილისის ქალაქის თვითმართველობის წინაშე აღძრულ შუამდგომლობის გამო, სასამართლოს გამომძიებლებისთვის და მომრიგებელ მოსამართლეთათვის შესაფერ ბინების აღმოჩენის შესახებ, სამშაბათს, დეკემბრის 23-ს, თფილისის ქალაქის თავმა ბ. გ. ჩხიკვიშვილმა და იუსტიციის დეპარტამენტის მმართველმა გ. თ. ჟორდანიამ დაათვალიერეს ქ. თფილისის გამომძიებელთა და მომრიგებელ მოსამართლეთა კამერები. ქალაქის თავმა, გაიცნო რა პირადათ სასამართლო დაწესებულებათა უაღრესად გაჭირვებული მდგომარეობა ბინის მხრივ, აღუთქვა მათ ყოველივე დახმარება შესაფერ ბინებით უზრუნველყოფის საქმეში.

**◆ შტატების შემცირება.** იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა ყველა სასამართლო დაწესებულებათა უფროსებს, რათა დამფუძნებელ კრების მიერ ა. წ. დეკემბრის 9-ს მიღებულ დეკრეტის თანახმად დაწესებულებათა შტატები შემცირებულ იქნას 1920 წ. იანვრის პირველამდე.

**◆ გზათა დეპარტამენტმა** აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ 26 დეკემბრიდან სადგურ აირუმმა შესწყვიტა სანაინისაკენ გადასაგზავნი ხორბლის ტვირთის მიღებაო.

**◆ კომპოზიტორ სულხანიშვილის დასაკრძალავ ხარჯების დასაფარავად** ქართულ სამუსიკო საზოგადოებამ მიიღო შეწირულებათ რკ. გზის სამმართველოდან 3,000 მ. განათლების მინისტრისაგან 2,000 მ. კოოპერატივთა კავშირისაგან 5,000 მ, ქალაქთა კავშირისაგან 1000 მ., ქართული კლუბისაგან 1000 მ., ექიმ ნ. ჯავახიშვილისაგან 250 მ., სულ 12,250 მ.

**კრებები**

დღეს, პარასკევს, საღ. 5 ს. დანიშნულია საქ. ს. დ. მუშათა პარტიის პირველი რაიონის კოლექტივის და ამავე რაიონის სახალხო გვარდიის საერთო არაჩვეულებრივი კრება.

— შაბათს, 27 დეკემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე, დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 ს., პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ბინაზე (რუსთაველის პროსპექტი) შესდგება საბჭოს მორიგი სხდომა. დღის წესრიგშია შრომის ბირჟა და მიმდინარე კითხვები.

# უცხოეთი

**რ უ ს ე თ ი.**

**„რუსეთის" ფლოტის ღალატისათვის.** ქ. პეტროვსკაში შეიპყრეს გენ. „ორლენოკ"-ის კომანდა—ბაქოელი მეზღვაურები. დაჭერილებიდან 28 კაცი პეტროვსკის ციხეში გაგზავნეს, 6 კი—მოზდოკისაკენ, სადაც მოხალისეთა სახრჩობელა იყო აღმართული. უკანასკნელი ჯგუფი წამსვე ჩამოახრჩვეს; სახრჩობელაზე ასეთი წარწერა გამოკიდეს: დაისაჯენ რუსეთის ფლოტის ღალატისათვის".

**„პოგრომები".** ხარკოვის ებრაელთა თემის კრებაზე დ-რ ლინდერმა მოხსენება გააკეთა, რომელშიაც იგი შეეხო დარბეულ ებრაელთა მდგომარეობას და შემდეგი სურათი გადაშალა: პირველ ოქტომბრამდე 400-ზე მეტ დაბა-ქალაქში მოხდა ებრაელთა დარბევა. აქედან 88 დარბევა—კიევის გუბერნიაში. მოკლულთა რიცხვი 100,000-ზე მეტია. ვინც დარბევამ არ იმსხვერპლა, ისინი დღეს უკიდურეს შიმშილს განიცდიან; ებრაელობა მრავლათ იხოცება ყოველ დღე. ებრაელობის მდგომარეობა ცოტათი მაინც რომ შემსუბუქდეს, საჭირო იქნება 100 მილ. მან. ყოველდღიური დახმარება.

**ი ნ გ ლ ი ს ი.**

**შეკითხვები პარლამენტში კავკასიის შესახებ.** 11 ნოემბერს, ინგლისის თემთა პალატაში ბევრ საყურადღებო შეკითხვებს ჰქონდა ალაგი, რაც, სხვათაშორის იმასაც ამტკიცებს, თუ როგორ ნაკლებათ იცნობს ინგლისის საზოგადოებრივი აზრი კავკასიის ცხოვრებას. თემთა პალატის წევრი კაპ. კენვორტი ეკითხება საგარეო საქმეთა მინისტრის მდივანს: მიაქცია მთავრობამ ყურადღება იმ პროტესტს, რომელიც განაცხადა ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკამ დენიკინელთა მოქმედების გამო და მართალია, თუ არა ის ცნობები, რომ დენიკინელები არბევენ მცხოვრებთ, აუპატიურებენ ქალებს და ათას სისაძაგლეს სჩადიან; და თუ ყველაფერი ეს მოეხსენება მთავრობას,—მიღებულია თუ არა ზომები, რომ ჩვენ მიერ გაგზავნილი ფული და იარაღი არ ხმარობოდეს ჩრდილო კავკასიის მცხოვრებთა საწინააღმდეგოთ? შეკითხვაზე მ-რ სესილ გარმსვორტმა უპასუხა, რომ ასეთი პროტესტი დენიკინიდანაც ბევრი მოდის; მთავრობას გაუგზავნია საქმის გამოსარკვევად წარმომადგენელი ჩრდილო კავკასიაში, რომლის დამოუკიდებლობაც ჯერ არ უცვნია არც ბრიტანეთის მთავრობას და არც საზავო კონფერენციას.

პოლკ. ვეჯვუდი კითხულობს, ვრცელდება თუ არა ინგლისის სამხედრო სამინისტროს პოლიტიკა ჩრდილო-კავკასიაში ყუბან-საქართველოზე? ჩერჩილი უპასუხებს, რომ არა. ბილლინგი შეკითხვას იძლევა: შეიცვლება თუ არა სამხ. სამინისტროს პოლიტიკა რუსეთში ამ ახლო მომავალში? ჩერჩილი აცხადებს, რომ არ არსებობს სამხედრო სამინისტროს პოლიტიკა, არამედ—არსებობს პოლიტიკა მთავრობისა. ლორდი კევენდიში კითხულობს: „არსებობს კი რაიმე პოლიტიკა მთავრობისა? (სიცილი). გაცხარებული ჩერჩილი მიუთითებს გაზეთებზე და ურჩევს დეპუტატებს იქ ამოიკითხონ ამ კითხვის შესახებ ცნობები. მუშათა პარტიას წარმომადგენელი ჯონსი მოითხოვს გაიგზავნოს მდგომარეობის გამოსარკვევათ არა ერთი პირი, არამედ კოლეგია, რომელიც უფრო მოახერხებს საქმის გამორკვევას.

**ბ ე ლ გ ი ა**

**კაბინეთის შედგენის საკითხი.** მთავრობის კრიზისი გრძელდება. პრემიერ-მინისტრმა დე-ლია-კრუამ დაითანხმა როგორც კათოლიკების, ისე სოციალისტების წარმომადგენლები შესულიყვნენ მთავრობაში; მაგრამ განხეთქილებას მთავრობის პროგრამა იწვევს: სოციალისტები გადაჭრით მოითხოვენ, რათა გაუქმებულ იქნეს ყოველგვარი შემავიწროებელი კანონები გაფიცვების შესახებ; კათოლიკენი, და საზოგადოთ მემარჯვენეები კი ამის წინააღმდეგნი არიან.

**შ ვ ე ი ც ა რ ი ა**

**რუსების დაპატიმრება.** შვეიცარიის მთავრობამ დაატყვევა ბევრი რუსები. მათ შორის ბევრი ცნობილი ბოლშევიკები, რომლებიც ... ფრანგულ და გერმანულ ... აღმაშენ... ... მონაწილეობა მიუღიათ ამას წინათ ბერნში მომხდარ გაფიცვებში და დემონსტრაციებში.

**ო ს მ ა ლ ე თ ი**

**ახალი ეკონომიური მისია.** კონსტანტინოპოლში ჩავიდა ამერიკის ახალი ეკონომიური მისია, რომელსაც დავალებული აქვს გამოარკვიოს ოსმალეთის ეკონომიური მდგომარეობა. რამოდენიმე ხნის შემდეგ მისია კავკასიისაკენ გაემგზავრება.

**საზავო დელეგაცია.** გაზ. „პეიამ"-ის ცნობით მთავრობის თხოვნა ოსმალეთის საკითხის გადაჭრის დაჩქარებისა და საზავო კონფერენციაზე დელეგაციის გაგზავნის შესახებ ანტანტას დაუკმაყოფილებია. დელეგაციაში შევლენ: საგარეო საქმეთა მინისტრი—ტოფიკ-ფაშა, მუსტაფა რამიდ-ფაშა, რუფატ-ბეი, ოსმან ნაზიმ-ფაშა, სენატორი ახმედ რიზა ბეი და პრინცი დინ ეფენდი. თავმჯდომარეთ ტოფიკ-ფაშას ასახელებენ

**სმირნის გარშემო.** გაზეთ „პეიამ"-ის გადმოცემით ინგლისის ადმ. ბრისტოლს განუცხადებია, რომ საბერძნეთის ჯარს მხოლოდ დროებით უკავია სმირნა. იგი მალე წარადგენს მოხსენებას, სადაც ჯერ არს, რომელშიაც აღნიშნავს ბერძნების სიმხეცეს და ვერაგობას ადგილობრივ მცხოვრებთა მიმართ და მოითხოვს, რათა ქალაქი სმირნა და მისი მიდამოები განთავისუფლებულ იქნეს ბერძნების საოკუპაციო ჯარისაგან. სმირნა ოსმალეთს უნდა შეუერთდეს, როგორც ყოველ მხრივ მასთან დაკავშირებული მხარე.

**ე გ ვ ი პ ტ ე**

**ეგვიპტე და ინგლისი.** ქაირში გამოაქვეყნეს შემდეგი ცნობა: ინგლისის პოლიტიკა ეგვიპტეში მიზნათ ისახავს დაიცვას ქვეყნის ავტონომიური უფლებები; მისცეს მას განსაზღვრული კონსტიტუცია, რომ ინგლისის დამცველ ადმინისტრაციის მფარველობის ქვეშ ადგილობრივ სულთანმა და მინისტრებმა შესძლონ განავითარონ თავიანთი მუშაობა ქვეყნის საკეთილდღეოთ. ბრიტანეთის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს გაგზავნოს ეგვიპტეში საგანგებო მისია, რომელსაც დაევალება კონსტიტუციის განსაზღვრა და სულთანთან და ხალხის წარმომადგენლებთან ერთად გამომუშავება მართვა-გამგეობის მომავალ ფორმისა. მისია არ იმუშავებს დამოუკიდებლათ, არამედ ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანოებთან შეთანხმებით, რომ შესაძლებელი იქნეს გამომუშავებულ კონსტიტუციის ცხოვრებაში გატარება.

**უ ნ გ რ ე თ ი.**

**მთავრობის კრიზისის მსვლელობა.** უცხოეთის პრესის ცნობების თანახმათ ჩვენ შეგვიძლია ასეთი საერთო სურათი შევადგინოთ უნგრეთში წარმოებულ მთავრობის კრიზისის შესახებ: საბჭოთა მთავრობის დაცემის შემდეგ შესდგა ახალი მთავრობა, რომელიც ანტანტამ არ იცნო, რადგანაც ეს მთავრობა ცდილობდა ერცჰერცოგ იოსების გამეფებას მოკავშირეები მოითხოვდენ კოალიციონურ მთავრობის შედგენას, მაგრამ ეს ვერ შესძლეს სათანადოთ ვერც გეინრიხმა და ვერც ფრიდრიხმა; უკანასკნელი თანახმა იყო მოეწვია მუშათა წარმომადგენელნი, მაგრამ არა როგორც მუშათა პარტიის წევრები. ნოემბრის პირველ რიცხვებში ფრიდრიხი მთავრობიდან გავიდა. შედგა მთავრობა, რომელშიაც შედიოდენ: პეიდლი სოციალისტებიდან, ლუკაში—მუშათა პარტიიდან, გეინრიხი—დემოკრატებიდან და ზიბცი—ქრისტიან სოციალისტებიდან. 12 ნოემბერს გამოქვეყნებულ იქნა ქრისტიან-სოციალისტებისა და წვრილ მიწის მფლობელთა დეკლარაცია, რომელშიაც განსაკუთრებული პირობები წარმოადგინეს მთავრობის მიმართ. ანტანტამ ფრიდრიხს კატეგორიული წინადადება მისცა: ან შეედგინა კოალიციონური კაბინეთი, ან წასულიყო 24 საათის განმავლობაში. ამ მიზნით ფრიდრიხმა მოლაპარაკება გამართა სოციალისტურ პარტიებთან. ამასთანავე მთავრობამ გადასწყვიტა მოაწყოს არჩევნები დამფუძნებელ კრებაში, რომელიც 21 დეკემბერს უნდა მოწვეული. დამფუძნებელი კრება მოწვეულიყო იქნება 2 წლის ვადით; ამასთანავე კრებას უფლება აქვს ამ ვადამდეც დაითხოვოს თავისი თავი. 17 ნოემბერს უმაღლეს საბჭოს წარმომადგენლის—სერ ჯორჯ კლერკის ბინაზე გაიმართა კერძო თათბირი, რომელსაც დაესწრენ: 6 ქრისტ. სოც. პარტიის წარმომადგენელი, 4—მემარცხენე პარტიების და 18 ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი—უპარტიონი. როგორც სჩანს, თათბირზე შეთანხმება მომხდარა: მოეწყო კოალიციონური კაბინეთი, სადაც 2 სოციალისტი შედის. ფრიდრიხმა ალაგი ქრისტ.-სოც. კარლ გუსარს დაუთმო, თვითონ კი სამხედრო მინისტრის პორტფელი მიიღო.

### ამერიკა

**ამერიკელი ფინანსისტი ევროპის მდგომარეობის შესახებ.** ამერიკის ფედერალურ შემნახველ-გამსესხებელ ბანკის გავლენიანი წევრი პაულ ვარბურგი დაბრუნდა ამერიკაში ორი თვის მოგზაურობის შემდეგ ევროპაში და შემდეგ ნაირათ ასურათებს ევროპის დღევანდელ მდგომარეობას: ევროპა ამ ჟამად უკიდურეს ეკონომიურ კრიზისს განიცდის, რომლიდანაც მას არ შეუძლია გამოვიდეს, თუ რომელიმე გარეშე მდიდარ სახელმწიფომ არ აღმოუჩინა დახმარება. ქვეყნიერება უფსკრულის წინაშე სდგას. მოსალოდნელია დიდი, უჩვეულო კატასტროფები და სოციალური მოძრაობა, რაც ბანკირ ვარბურგის აზრით, ქვეყანას გააკოტრებდა. მთავარ მიზეზათ იგი ასახელებს, რომ წარმოება განადგურებულია, და ყოველგვარ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ ფულების მბეჭდავ მანქანებს მიმართავენ. მისი აზრით, რომ ევროპა გადარჩეს კატასტროფას, საჭიროა მისი ფართე დახმარება იკისროს ამერიკამ, რომელიც მდიდარია ყოველგვარ საქონლით და რომელიც ამასთანავე დაინტერესებულიცაა ამაში თავის საკუთარ ვაჭრობა-მრეწველობის ასაყვავებლათ. ვარბურგი პროტესტს აცხადებს იმ შეხედულების წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს, რომ ამერიკა არ ჩაერიოს ევროპის შინაურ საქმეებში. ვარბურგის მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკის მმართველ წრეებში.

### ადერბეიჯანი.

**ახალი პარტია.** ადერბეიჯანში მოეწყო ახალი პარტია ადერბეიჯანის სოციალ რევოლიუციონერებისა—„ხალგჩი" („სახალხო"). პარტია მიზნათ ისახავს შეაკავშიროს გლეხობა ადერბეიჯანის საზღვრებში და დარაზმოს იგი კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

## ერთი წლიწადი უკრაინაში

1918 წლის ნოემბერში ფოთიდან ოდესაში გავემგზავრე საბარგო გემით. მივემგზავრებოდი საქართველოდან და თან ვოცნებობდი მომხვედრიყავ უკრაინაში, სადაც, როგორც მე მაშინ მეგონა,—იყო ახალი, სალი ხალხური მოძრაობა, რომელსაც მეთაურობდა ვინიჩენკო და პეტლიურას რევოლიუციონური დირექტორია. ვუახლოვდებოდით ოდესას. მახსოვს, დღე მზიანი და ნათელი იყო, ზღვა წყნარი და დამშვიდებული. ნავთსადგურის ახლოს ჩვენ შეგვაჩერა ფრანგების ნაღმოსანმა. ქალაქის მხრიდან მოისმოდა საარტილერიო სროლა. გემის დათვალიერების შემდეგ ფრანგებმა ნება დაგვრთეს გავჩერებულიყავით ოდესის ბუხტის რეიდზე, მასთან გაგვაფრთხილეს, რომ ქალაქში ბრძოლა არის უკრაინის ჯარებსა და პოლონელებ-მოხალისეთა შორის.

ნავთსადგურს მძიმე არტილერიას უშენდა პეტლიურას რაზმი. მოხალისეთა დიდი გემი „სარატოვი" დაზიანდა და წინა ნაწილით ზღვაში ჩაეშვა ნავთსადგურთან. ნავთსადგურში სდგას ფრანგების ორი ჯავშნოსანი, მაგრამ ისინი არ ისვრიან, ნეიტრალიტეტს იცავენ.

ნავთსადგური და ზღვის ნაპირი ფრანგების ჯარებით არის დაკავებული. ეს ფრანგების გავლენის ზონაა. ჩვენი გემის მატროსებთან და კაპიტანთან ერთად მე გავდივარ ნაპირზე. და შემდეგ ნავთსადგურის ფრანგ კომენდანტის ნებართვით შევდივარ ქალაქში. ბრძოლის ცენტრია—ვაგზლის რაიონი, ბაზარი—„რუნდუკი" და სახელმწიფო ბანკი. ხმები გავრცელდა, რომ საფრანგეთის სარდლობა ჩაერია საქმეში შესარიგებლათო. ქალაქში გაძლიერებული სროლაა თოფების და ტყვიის მფრქვეველების. საღამოს ქალაქს პეტლიურას ჯარმა დაუწყო სროლა პირველი ნომერი „ზასტავის" მხრიდან. ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში ყუმბარები ცვივა. გაძლიერდა ხმები იმის შესახებ, ვითომ ფრანგებს მიეცეს წინადადება პეტლიურასთვის ქალაქზე სროლის შეწყვეტის და ჯარის გაყვანის შესახებ. სროლა ქალაქში მთელი ღამე არ შეწყვეტილა. შეწყდა მხოლოდ დილით.

პეტლიურას ჯარმა ქალაქი დასტოვა. სწარმოებს მოლაპარაკება საფრანგეთის სარდლობასთან. ფრანგებმა მოითხოვეს ქალაქის შიგნით სამხედრო გავლენა. პეტლიურას მომხრეებს წინადადება მიეცა 20 ვერსით დაეხიათ უკან, სანამ არ გამოირკვეოდა უკრაინის დირექტორიის და ანტანტის ურთიერთობა. ფრანგების ჯარების სარდალმა მცხოვრებთ მიმართა მოწოდებით, სადაც ის ირწმუნებოდა, რომ ფრანგები ოდესაში მოვიდნენ არა დაპყრობითი მიზნებით, არამედ—მშვიდობიანობის დასამყარებლათ. ამ რიგათ დაახლოვებით 1918 წ. დეკემბრის პირველ რიცხვებიდან ოდესა დარჩა ფრანგების გავლენის ქვეშ, ფაქტიურად კი, ქალაქს განაგებდა მოხალისეთა გენერალ-გუბერნატორი გრიშინ-ალმაზოვი, რომელიც იმავე დროს იყო სარდალი ოდესის რაიონის მოხალისეთა შეიარაღებული ჯარებისა. ოდესა კიევს შორის მატარებელთა მიმოსვლა შესწყდა. მე ოდესიდან სადგურ დაჩნაიამდე ცხენით მივედი. სადგური ოდესიდან გამოსული ხალხით სავსე იყო. მათ კიევისაკენ სურდათ გამგზავრება. რკინის გზის ლიანდაგზე არავის არ უშვებდნენ, რადგანაც იქ ვაგონებში ყავდათ მოხალისეთა ტყვეები.

ყაზახები ამბობდნენ, რომ ღამით ზოგიერთი ტყვეების დახვრეტა მოხდებაო. ღამე უფროსმა ოფიცერმა ყაზახების თანხლებით ჩამოიარა მგზავრები, დაათვალიერა მგზავრების საბუთები და ბარგი თან გააფრთხილა მგზავრები, რომ თუ ვინმეს იარაღი აღმოაჩნდა, დაუყონებლივ დახვრეტილი იქნებაო. უკრაინელთა ბარგი არ გაუჩხრეკიათ. ებრაელები გამოყვეს ცალკე ჯგუფათ და უფრო საფუძვლიანათ გაჩხრიკეს. იმავე ღამეს სადგურ დაჩნაიას ახლო დახვრეტილი იქნა მოხალისეთა 32 ოფიცერი და რამოდენიმე დატუსაღებული ებრაელი. დახოცილთა გვამების ნაწილი დამარხულ იქნა, ნაწილი კი მინდორში იქნა დაყრილი. უკანასკნელთა გვამები შემდეგ გლეხებმა დამარხეს.

პეტლიურას ჯარმა სად. ბირზულაში წასვლის შემდეგ, 1919 წლის თებერვალში სად. დაჩნაიას ირგვლივ მინდორი—სასაფლაო ამოთხარეს და აღმოაჩინეს გვამები ბევრი ერთად და ზოგიც ცალ-ცალკე დამარხული, რაც ახასიათებს ცალ-ცალკე და მასიურ დახვრეტის შემთხვევას. მივდივარ ვაგონით. მატარებელს ყოველ სადგურზე ჩხრეკენ და მგზავრებს საბუთებს უსინჯავენ. ყურადღებას იქცევს სურსათის სიუხვე. პური 3—4 გირვანქა 5—7 მანეთი ღირს. ბევრია ხილი და ხორცი და ყველაფერი, ამიერ კავკასიის ფასებთან შედარებით საარაკოთ იაფია.

მიდიან იარაღ აყრილი მოწყენილი სახით ეშელონები, ერთ დროს ამაყი გერმანელ ჯარისკაცებით. მათ ჩამოართვეს მთელი სამხედრო ქონება. მათ გზავნიან სამშობლოში, გერმანიაში. მათთან დამოკიდებულება რაც შეიძლება თავდაჭერილია, ამგზავრებენ, როგორც არა მეგობრებს. ყველგან უკრაინის ჯარის ეშელონებია, რომლებიც დგანან დირექტორიის „ჟოვტობლაკიტნი პრაპორ"-ის ქვეშ. მე ვაკვირდები ჩემს ნაცნობ წრის და მინდა ის გავიგო. შეწუხებული სახეები. მდგომარეობით ხარბათ დაინტერესებული ხალხი. მე ვესაუბრები მათ ამიერ-კავკასიაზე და ვგრძნობ ჩემს წინაშე რისხვის სტიქიას. ვხედავ ჩემს წინაშე ხალხს, რომელთაც ხელმძღვანელობს შური ძიების წყურვილი „პანებისადმი". ესენი მომავალი ბოლშევიკები არიან.

„და როგორც უნდათ ისე ილაპარაკონ ჩვენზე, ჩვენ მაინც ბოლშევიკებთან ვიქნებით, სანამ ჩვენ ბატონები გვეყოლება, სიწყნარეც აღარ გვექნება," გულახდილად ამბობდნენ ყაზახები. „ჩვენ ეხლა ერთ საქმეს ვაკეთებთ, როცა გავათავებთ, შემდეგ მეორეს მოვეკიდებით ხელს. ასეც მოხდა შემდეგ. გეტმანისა და გერმანელების წინააღმდეგ აჯანყებაში მოწოდებაზე, გლეხები იარაღით ხელში გავიდნენ ერთი ძლიერი გრძნობით, რომ თავიდან მოეშორებიათ თვითმპყრობელ გეტმანის უღელი. აქ ყველანი განურჩევლად რწმენისა შემოკრბნენ დირექტორიის ირგვლივ ვინიჩენკოს, პეტლიურის, შვეცის, ანდრიევსკის და იგ. მაკარენკოს სახით. ეს მოძრაობა იყო სოციალურ-ეკონომიური, გეტმანისა და მისი ხელქვეითების წინააღმდეგ, რომლებიც სძარცვავდნენ და აწიოკებდნენ გლეხებს. გაკვირვებას იწვევს ებრაელების მიმართ გაბოროტება.

ხ. ვერეშჩაგი.

(შემდეგი იქნება)

## თელავის კოოპერატივთა კავშირი

თუ კერძო ცხოვრებაში დასაგმობია და უარსაყოფია ყოველნაირი ყალთაბანდობა, მით უმეტეს, ეს უნდა განიდევნოს კოოპერაციიდან.

სამწუხაროთ ზოგიერთ დაბალ ღირსების ადამიანებ კოოპერაციაში შეჰქონ არევ-დარევა და მით სახელს უტეხენ დემოკრატიულ დაწესებულებებს.

მე აქ არ გამოვუდგები იმ მრავალ წვრილფეხა სოფლის კოოპერატორების უღირსობის ჩამოთვლას, რომლებმაც თავიანთი უგვანო საქციელით მრავალი სოფლის კოოპერატივები დაღუპეს. მე მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო უფრო სერიოზულ დაწესებულებას, რომელიც მაგალითს უნდა აძლევდეს სხვებს.

ეს გახლავთ კოოპერატივთა კავშირი თელავში. ამ კავშირს თავიდანვე სათავეში ჩაუდგა ერთი მეტათ შეუფერებელი პიროვნება, რომელიც დიდის ბრძოლის შემდეგ როგორც იყო განდევნეს კავშირიდან არა კოოპერატიული მოქმედებისათვის. ეს გახლდათ ცნობილი ლუკაშვილი, მაგრამ, სამწუხაროთ, მისმა მემკვიდრეებმა მთლიანათ გადმოიღეს მისი უარყოფითი მოქმედების ხაზი და ცდილობენ არასაკადრისი გზით კავშირის აყვავებას. ჩემი დებულების დასამტკიცებლათ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. პირველი: თანახმად დემოკრატიულ რესპუბლიკის 11 ივნისის კანონისა, თელავის ქალაქის საბჭომ ერთ-ერთ თავის სხდომაზე დაადგინა ქალაქის საჭიროებისათვის ჩამორთმეოდა ვინმე დედერინს შენობა. ეს გადაწყვეტილება ერთხმათ მიიღო საბჭომ, აქ ბრძანდებოდნენ კავშირის გამგეობის წევრებიც ს. ფ. ფრაქციის ხმოსნების სახით. ქალაქის თვითმართველობა დარწმუნებული იყო იმაში, რომ კანონიერის გზით სახლს შეიძენდა და მოათავსებდა აფთიაქის ლაბორატორიას. კავშირის გამგეობა ჩუმათ მიდის ქალაქში დედერინთან და ეუბნება: ქალაქი სახლს გართმევს, მოგვყიდე ჩვენ, რაშიაც მეტს მიიღებო. რასაკვირველია, სახლის პატრონი დასთანხმდა, ეყნენ ნატარიუსს საქმის ჩქარა გასათავებლათ. გაიგო რა ეს ქალაქის თვითმართველობამ, მოიწვია საბჭო და გააცნო კავშირის მიერ მუხანათურათ სახლის ხელიდან გამოგლეჯა. საბჭომ დაჰგმო კავშირის გამგეობის არა საკადრისი საქციელი და დაადგინა უსათუოდ დაიბრუნოთ სახლი კანონიერის გზით და მით ჩვენი უფლება აღვადგინოთო. ეხლა კავშირის გამგეობა ყველა ჯვარედინ გზაზე გაჰკივის, ქალაქი სახლს ართმევს კავშირსო და ბევრი ისეთები შეცდომაში შეყავთ ვინც არ იცის საქმის ნამდვილი მდგომარეობა. მეორე მაგალითი: თელავში არსებობს შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობა, რომელმაც იყიდა თელავშივე საქსოვი მანქანები და ზეთ მისცეს ორი ათასი მანეთი. კავშირის გამგეობამ აქაც დიდი ნიჭი გამოიჩინა შეცილებისა და მანქანები თითონ ჩაიგდო ხელში ფასის წამატებით. ბანკის გამგეობამ ბევრი იფაფხურა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ასეთი გზით სიარული სრულიად უარსყოფს კოოპერაციის მიზნებს და ამის წინააღმდეგ უნდა აღიმაღლოს ხმა ყველა გულწრფელმა კოოპერატორმა.

თუ რა დამოკიდებულება აქვს კავშირის გამგეობას ახლათ ფეხადგმულ ერობასთან და რა საშუალებით ებრძვის მას ამასაც გავაცნობთ მკითხველს შემდეგში.

ხახო მაჭავარიანი.

## 73 და 2

(ეძღვნის ჩემს ამხანაგს ლიდიას).

ეს ორი რიცხვი—არის სტიმული, აღმძვრელი და გამომწვევი ჩემს მეხსიერებაში მთელი რიგი ჩვენის სოციალურ ცხოვრების ფაქტებისა, იმ ფაქტებისა, რომელნიც გამომხატველნი არიან ქართველი ხალხის თვისებებისა, და აღიბეჭდება ოქროს ასოებით საკაცობრიო ისტორიის ფურცლებზე, როგორც არა ერთხელ აღბეჭდილა წარსული ეპოქების ცხოვრების დიადი ფაქტები და მომავალშიაც პირველი ადგილი მას დაეთმობა. ქართველი საზოგადოება, რომელიც ქმნის და მიაქანებს წინ თავის ცხოვრებას, დიად ისტორიას, მიუხედავათ ყოველგვარი სიძნელისა, სიმძიმისა და საშინელებისა, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველს ახასიათებს: ძლიერი სული, მაღალი გონება და ფაქიზი გრძნობა.

ქართველ ხალხის სოციალურ-კულტურული ცხოვრების სხვა და სხვა საფეხურები, დაწყებული პირველიდან უკანასკნელამდის, რომელზედაც ის ეხლა შეგნებულად და ამაყად დგას, შედეგია თანდათანობით წინ სვლისა და განვითარებისა, ბრძოლით მოპოვებული და ცხადს ყოფენ და ღაღადებენ მის სულიერ თვისებებს.

ის ჭორია წარსულისა გვიუზნება ქართველი ერის მუდამ განცალკევებულში ყოფნას, მას ხან ერთი სიმაჰმადიანო სახელმწიფო ჩაგრავდა და ხან მეორე, ის ორ ცეცხლ შუა იმყოფებოდა, მარა ასეთი მდგომარეობა, შევიწროება, დევნა, მას არ აშინებდა, გმირად ხვდიდა, უფრო ამტკიცებდა მის ბუნებას და თუნდაც გამოჩენილად არა, უხილავად მაინც, სულიერად წინააღმდეგობას უწევდა, ძალას იკრეფდა და სულიერ ძალით არ კარგავდა თავის სახეს, თავის მიწა-წყალს, ქმნიდა კულტურას, მაღალ იდეალებს, თავისუფლებას, თანასწორობას და სამართლიანობას, რამაც უფრო ნათლად იპოვა თავის გამოხატულება ჩვენს დემოკრატიულ ხანაში.

ერის უმრავლესობა, დემოკრატია იყო ყოველთვის მესაჭე საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივ წყობილებისა, მას აწვა სახელმწიფო მთელი თავის სიმძიმით და თუმცა ის ამ სიმძიმის ქვეშ იზნიქებოდა, მარა არ ტყდებოდა, სულით არ ეცემოდა, როგორც არ ეცემა ეხლა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წარსულში დემოკრატია უშუალოდ არ მოქმედობდა, არამედ—ის იყო უუფლებო, მონა, დღეს კი თავისუფალი, ბატონი და შემქნელი ახალ წესწყობილებისა თავის სწორი და სამართლიანი პოლიტიკით, როგორც შინაური, ისე საგარეო საქმეებში, რითაც მიიქცია ყურადღება ევროპისა და მეზობელ სახელმწიფოების პატივისცემა დაიმსახურა. მიუხედავათ ესეთი საშინელი მდგომარეობისა საერთოდ და კერძოდ საქართველოსათვის, როდესაც ყოველ წუთს ახალ ახალი უბედურება გვევლინება, ხან დენიკინის სახით, ხან ანარქიის და ხან შიმშილის, საქართველოს დემოკრატია, მისი ინტერესების და მისწრაფებას გამომხატველი მთავრობა, თვითმმართველობა და ერობა დაუღრომელ და შეუწყვეტელ განაგრძობენ გამალებულ მუშაობას და მოქმედებას ხალხის საკეთილდღეოდ და უფრიან [illegible] ახალ შენობას მომავლისას [illegible] ასეთი მედგარი და შეუპოვარი მუშაობით ის აღწევს მიზანს და თვალ საჩინო შედეგებს: საქართველოს დაცვა, დამოუკიდებლობა, წესრიგი შიგნით, მფარველობა და ზრუნვა სხვა და სხვა ხელოვნების დარგებზე და კულტურულ დაწესებულებებზე, შიმშილის აჩრდილის გაქრობაზე და მოზარდ თაობის, როგორც ადგილობრივ, ისე საზღვარ გარეთ განათლების მისაღებათ გასამგზავრებელთა უზრუნველყოფაზე. ყოველივე ზემო ჩამოთვლილ ფაქტებს შემდეგ, როგორ შემიძლია არ მივესალმო მის მუშაობას და არ ვუსურვო ხანგრძლივობა ნაყოფიერ მოქმედებასა და მისწრაფება უკეთეს მომავლისაკენ, სოციალიზმისკენ, სადაც თანასწორ უფლებიანობას იქნება ადგილი და დაუფასდება ყველას თავის ამაგი ღირსეულად. მარა რიცხვი 2, აი რა იწვევს ჩემს გულის ტკივილს, რა მაფიქრებს და რას მინდა მივაქციო განსაკუთრებული ყურადღება.

საქართველოს დემოკრატია ორ ქალს გზავნის, მხოლოდ ორ ქალს, ვაჟებს კი სამოცდა ცამეტს. ორი ქალი და სამოცდა ცამეტი ვაჟი, ეს რიცხვები მეტყველობენ და ნათელს ყოფენ დამოკიდებულებას, რომელიც სუფევს ამ ორ სქესთა შორის. ჩემდა სამწუხაროთ, ეს დამოკიდებულება არ შექმნილა ბუნებრივად, არამედ ხელოვნურად წარმოიშვა საზოგადოებრივ განვითარების წიაღში, რომლის პროცესი ქმნიდა უთანასწორობას. და თუ გავ თვალის წინებთ ყველა იმ განვლილ ეტაპებს პირველ ყოფილ ადამიანის სოციალური ცხოვრებიდან თანამედროვეამდე, დავინახავთ და შევხვდებით ისეთ ხანს, როდესაც ასეთს განსხვავებას არ ჰქონდა ადგილი სქესთა შორის.

იყო ხანა, როდესაც დედაკაცი განაგებდა სახელმწიფოს, ოჯახს, მისი უფლება და ფართე მოქმედების ასპარეზი საზოგადოებაში უდაოა, ეს ის დრო იყო, როდესაც კიდევ არ იყო ჩასახული პირად ინტერესებზე ზრუნვა, ეგოისტური გრძნობა, არამედ ყველა ერთისთვის იყო და ერთი ყველასათვის, მაგრამ დროთა ვითარებაში, ცხოვრების წინ სვლის და გაქნების გზაზე ყველამ როდი შეძლო ერთნაირად სვლა და ვაი მას, ვინც ჩამორჩა, წაიბორძიკა, ის ჩაიწიხლა, ჩაიქოლა და თიხქვეშ მოყვა, გაითელა. ამ რიგათ გაჩნდა და განვითარდა ტლანქი ძალა, რაც გასალაშქრებული და გამშვენიერებული ფორმით მიღებულ იქნა და გავრცელებული. თანამედროვე ცხოვრების ბორბალი უფრო სწრაფათ ტრიალებს, ის ტრიალებს არა მარტო უხეში ძალის მეოხებით, არამედ გონების მუშაობით და შორს არ იქნება ის დრო, როცა ახალი შეხედულებები საზოგადოებრივ ურთიერთობაზე მოიმაგრებენ ფესვებს და გაშლიან ფართედ ტოტებს, რომლის ქვეშ ყველა, ყველა კმაყოფილად და თანასწორად იგრძნობს თავს და მაშინ იმ უფსკრულს სქესთა შორის არ ექნება ადგილი. პირიქით ისინი წარსულში და აწმყოში დაშორებულნი სხვადასხვა პირობებში აღზრდით, მომავალში კი თანასწორნი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი გააგრძელებენ სიარულს ჯერ კიდევ ცხოვრების მოლიპულ გზაზე საერთო ბედნიერების შესაქმნელად. და თუ ბურჟუაზიულმა კლასმა, მისმა გამოგონებამ, მისმა შექმნილმა კანონებმა ქალი გადააქციეს სათამაშო ტიკინად, სგრძნობ და ჩაკლეს მასში გონებრივი შემოქმედება, სულიერი ძალა, გახადეს თითქმ მონად, და ასე დაამწყვდიეს წარსულში, მაგრამ აწმყოში დემოკრატიამ კი გვერდში ამოიყენა და მასში ნახა თანასწორ უფლებიანი ადამიანი, იმ იმედებით, რომ ორივე შეგნებული მოქმედებით საზოგადო ასპარეზზე დაამყარებენ სოციალისტურ წყობილებას და მით მოსპობენ დღევანდელ ურთიერთობასაც. გვეყოს გაკვეთილები წარსულისა, აწმყოსა და მომავლისთვის მაინც შევუდგეთ მდგომარეობის გამოსწორებას და დავამტკიცოთ მაგალითებით ჩვენი საქმიანობა, შეგნებულად ამოვუდგეთ მშრომელ კლასს გვერდით. მაშინ ჩვენ არ გვეკოდინება დაღონება და გულის ტკივილი, რასაც განვიცდით ეხლა შით, რომ ორი ქალის მეტი არ იგზავნება. მე არ მინდა ჩვენს ნორჩ დემოკრატიას უსაყვედურო, მარა ისიც არ მინდა, რომ გულახდილი არ ვიყო და ჩემს კეთილ სურვილებს და სალამს ვურთებ იმ მშრომელ ხალხისას, რომელიც თავის შვილებს ქალ ვაჟებს ულოცავს გზას ბედნიერს და აძლევს იმედს, რომ ის იზრუნებს მათთვის, რომელნიც თავის მხრივ გაამართლებენ მათზე დამყარებულ იმედებს დემოკრატიის და სამშობლოს მიერ.

თავისუფალი ქალი.

## ცხინვალის რაიონში

(ჯავაში)

(დღიურები)

6 დეკემბერი.

24 ოქტომბერს, როკაში კიდეც მოხდა გამოსვლა თანახმად ტფილისის კომუნისტურ შტაბის განკარგულებისა... დაატყვევეს მთავრობის მილიცია, სადარაჯო რაზმით წოდებული. მხოლოდ როდესაც მეორე ბრძანება მიიღეს მათი შტაბის, რომ გამოსვლა ნოემბრისათვისაა გადადებული, ტყვეები გაანთავისუფლეს. ცნობები ამტკიცებენ, რომ ჯავის რაიონი მთავარი სარეზერვო არმია იყო, რომელიც გადასწყვეტდა სამოქალაქო ომის ბედს კომუნისტთა სასარგებლოთ. ამიტომ მოძრაობის სამხედრო პლანი შემდეგში გამოიხატებოდა: უჯარეთს ბორჯომისთვის უნდა დაეკრა, ქარელის, სურამის, ქვიშხეთის რაიონი—ტუნელი, ხაშური, რკინის გზა უნდა დაეპყრო, ახალქალაქ-მეჯვრის ხევს—გორი უნდა დაეპყრო და სამხრეთიდან, ჯავის მთელ რაიონიდან უნდა დაძრულიყო რამოდენიმე ათასი შეიარაღებული. 7, 8, 9 ნოემბერს კიდეც დაიწყო ხცისის მხარეში, ახალქალაქში, მეჯვრისხევში შეტაკებები. ხაშურის რაიონს ირგვლივ ალყა შემოარტყეს და რკინის გზებიც საფრთხეში იყო ჩავარდნილი.

აი იმ დროს, როცა რკინის გზის რაიონებში ბრძოლა სწარმოებდა, ირკვევა, რომ ჯავაში და მთელ სამხრეთში დიდი ამბები იყო. სამოქალაქო ომის ქარიშხალით იძლენთებოდა ჰაერი და საკითხი გადასჭრა იმ მოვლენამ, რომ ბრძოლამ რკინის გზის რაიონებში სხვა ხასიათი მიიღო,— „ბოლშევიკები" დამარცხდნენ და სამხრეთს მოლოდინი გაუცრუვდა. ეს იყო ფაქტი.

მთა ოსეთში ადგილობრივი ძალები ბევრი „ბოლშევიკურათ" განწყობილი წარსულ მოძრაობაში და უკანასკნელ დროს თითქმის ერთი და იგივე პირებია. ბევრი კი, როგორც ირკვევა, „დენიკინის საწეფოში" წასულა.

მოძრაობის ხელმძღვანელებს გამოსარკვევათ ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ზოგიერთები გავაცნოთ საზოგადოებას.

მიმდინარე წლის მოძრაობის სათავეში პირველი იყო ყოფილი შტაბს-კაპიტანი მ. სანაკოევი, რომელიც ყოფილ ეროვნულ საბჭოს საადმინისტრაციო სექციის თავმჯდომარე იყო და თავი გამოაცხადა ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრათ. ეს კაპიტანი ცნობილი შახოვსკის ციმბირის ექსპედიციაში იღებდა მონაწილეობას, იყო უბრალო ვინმე და მან თავისი საქციელით დაიმსახურა ნიკოლოზის მთავრობის ყურადღება. დააჯილდოვეს ჩინით, ჯვრებით და ბოლოს რევოლიუციით დაშინებული ჯავაში დაბრუნდა

მეორე გახლდა მ. ჯიჯოევი, ძველი „სტრაჟნიკი", მხოლოდ რევოლიუციაში „გაბოლშევიკებული".

მესამე ყოფილი ოფიცერი გ. ცხოვრებოვი და ამათ თან მიყვება ყოფილი „სტრაჟნიკი" ტ. ყოჩიევი. „მოძღვარი" დ. ბეგიზოვი. ძველი მთავრობის „შპიონი" მ. გელიევი. სტუდენტი ა. ზორაევი, ჯატიევი, გიმნაზისტი ც. გაგლოევი, განქნილი „ადვოკატი" გ. გაგლოევი თავისი პრაპორშჩიკი შვილით და ასე ყველა ჯურის ხალხი ერთ ორგანიზაციაში გაერთიანებული, „კომუნისტურ ოჯახში" შეკრებილი.

უცხო ელემენტები ჩვენთვის გაურკვეველია, მხოლოდ სტუმრები ჯავაში ჩრდილოეთიდან, კავკავიდან, ტფილისიდან მოდიოდნენ. მათ მოჰქონდათ „ახალი ამბები" და ადგილობრივი მეთაურების დახმარებით აჰსლებდნენ ხალხში და მთავარ ცხეთ გადაქციეს როკა, სადაც სამხედრო შტაბის რეზიდენცია იყო.

პროვოკაციები:

1) საქართველო გამოეყო რუსეთს, ეს ჩაიდინა მენშევიკურმა მთავრობამ, ამიტომ აღარ არის პური, სანოვაგე, შაქარი, მატერია და სხვადასხვა.

2) მემამულეებს მიწები ჩამოართვეს, თვითონ მიისაკუთრეს. გლეხები მოატყუეს, ეხლა ღალებს ახდევინებენ, ფულზე ყიდიან.

3) მთავრობამ დაიქირავა გვარდია. სათავეში ჩაუყენა თავად-აზნაურები, ეხლა ხალხს ართმევენ იარაღს და შემდეგ დაიმონებენ, ყველაფერს წაართმევენ.

4) საქართველოს მთავრობამ ხალხის თავისუფლების მოსასპობათ კავშირი შეკრა ჯერ გერმანიასთან, შემდეგ ადერბეიჯანთან და ეხლა ინგლისელებთან.

5) შემოიღეს გადასახადები სახლებზე, ოთახზე, ტყეზე, ძროხაზე, ყველა ცხოველებზე და ახდევინებენ.

6) გაჰყავთ ჯარი რუსებთან საომრათ, სომხებთან, მუშების წინააღმდეგ. [illegible] ამით გაჟლიტონ ხალხი და თავიანთ ბატონობა შეინარჩუნონ.

7) შემოიღეს კატორღა, ციხე, დახვრეტა და სხვადასხვა.

ყველა ეს [illegible] ხალხს, ყოველგვარ მოლოდინს [illegible] ნია ისმენს და, კიდეც დაარწმუნეს. და უკანასკნელათ, როცა „ბოლშევიკურმა" მოძრაობამ განიცადა ბრძოლის ველზე დამარცხება, კრიზისი, მთა ოსეთში მოხდა ერთგვარი გადატრიალება,— „ბოლშევიკურ" ორგანიზაციების იზოლიაცია, მაგრამ ხალხი მიმდინარე ამბებში გაურკვეველია, დაღონებულია და თავის თავს, თავის მოძრაობას დამარცხებულათ შეჰყურებს.

ეს მეორე წელია, სამხრეთ ოსეთში მდგომარეობა საშინელია. უკანასკნელი ხანა ამ მდგომარეობის დასასრულია, მხოლოდ აქ სიფრთხილეა საჭირო და შესაფერი მოქმედება.

ჩვენ სერიოზულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. და მას პასუხი უნდა, ანგარიშის გაწევა...

ხალხმა დღემდის არ იცის საზოგადოებრივი საქმიანობა. ორი წელია შფოთში და მღელვარებაში, მზადებაშია, თოფს ეძებს, შრომას თავს ანებებს. თემები არ აქვთ, ორგანიზაციები, მუშაობა. მას ერთი ზრახვა აქვს,— „მტრის დამარცხება". მახვილს ლესავს და ამის ლიკვიდაცია ხდება...

ყორნისიდან ჩხეიძის რაზმმა მარჯვნივ წაიწია, ჩასავის ხეობისაკენ განაგრძო გზა. გზა და გზა სოფლების განიარაღებას ახდენდა.

კახეთის გვარდიის ბატალიონი, ცხენოსან დივიზიონის ნაწილი შენგელიას ხელმძღვანელობით ცხინვალიდან როკის მიმართულებით წავიდა, მათ გაიარეს ცრედვი, ვანათი, მიფარეთი და გერის მთასთან გაჩერდნენ. სოფლებში ხალხი აღარ სჩანდა, მიუხედავათ წინასწარი გაფრთხილებისა, გახიზნულიყვნენ. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ისინი, ვინც მეთაურობდნენ წინდაწინ გაიქცნენ და მეორე იმითი, რომ ჯავის რაიონში პირველი მაგალითია ჯარის შესვლისა.

ჯავაში დილიდანვე დაიწყო ხალხის განიარაღება, ყრილობა გაიმართა. ყრილობას გორის ბატალიონის უფროსმა აუხსნა ყველაფერი და წინადადება მისცა, რომ ხალხი დაბრუნებულიყო და დაეწყო მშვიდობიანი ცხოვრება.

7 დეკემბერი.

ჩხეიძის რაზმი უკვე ჩასავის ხეობაში შევიდა. სოფლები ხალხისაგან დაცლილია. ჩხეიძემ ხალხს აუხსნა მისვლის მიზანი და განიარაღება დაიწყო.

შენგელიას რაზმი დილით გათენებისას, რომელსაც თან იახლა როკის კომისარი, ოსი მილიციონერები და მაზრის კომისარი გერის მთიდან ჰვრიაში მივიდა. ჰვრიაში მოხუცები დახვდნენ. იარაღი შეკრებილი დახვედრეს. სოფ. კროჟაში სრულიად ცარიელი დახვედრიათ. არც მოხუცები, არც შინაური საქონელი, მთელი სახლები დაკეტილი იყო. სოფლათ სრული სამარისებური სიჩუმე იყო.

რით აიხსნება ეს?

წასვლისას მეთაურებმა ხმა გაავრცელეს,—ჯარი მოდის და ყველას, განურჩევლათ ხვრეტს.

ჯავაში ყველა სოფლების არჩეული კაცების დილით კრება გაიმართა მდგომარეობის გამოსარკვევათ.

არჩეულებმა მოთხოვნილება მიიღეს იარაღის აყრის და სხვათა შესახებ.

განაპირა ხეობებს სხვადასხვა მიმართულებით რაზმები წავიდა.

ნაშუადღევის 4 ს. რაროს და ტონტომეტის ხეობას შუა მწვერვალთა რაზმს, რომელსაც ბორჯომის გვარდიის უფროსი მაქსიმოვი ხელმძღვანელობდა, სროლა აუტეხეს. სროლამ 2 საათი გასტანა. დაღამებისას შესწყდა. სროლის დროს სამი გვარდიელი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ნაწილებს. მღელვარება დიდი იყო, მაგრამ ექსცესებისაგან თავი შეიკავეს.

გამოირკვა, რომ რაროს ხეობაში არის 300 მდე შეიარაღებული ბრბო ტყვიისმფრქვეველით და გვარდიელებიც მათ ჩავარდნიათ. ღამით გამოირკვა, რომ მთა ოსეთს ბარში შიკრიკები დაუგზავნია დასახმარებლათ, რადგანაც უარი მიუღიათ, შემდეგ დაუდგენიათ:

— ბრძოლას ნულარ დავიწყებთო.

ღამემ წყნარათ ჩაიარა. გათენებისას ცნობა მოვიდა, რომ ჩასავის მთლობები ყვირილის გვარდიამ დაიჭირაო.

8 დეკემბერი.

დილით ხეობაში ტყვეობიდან გამოქცეული გვარდიელები მოვიდნენ. ერთი დათუნაშვილი (ბორჯომელი) მძიმედ დაჭრილი აღმოჩნდა. მათი ცნობა ასეთი იყო: ბრბო გაიფანტა და გაიქცა. ისინი გატიტვლებულნი იყვნენ. დაეპირებინათ გვარდიელების დახვრეტა, მაგრამ ველარ გაბედნათ. ჯავის ხეობაში ხალხი თითქმის დაბრუნდა. რაკი გაიგეს გვარდია ხალხს მკაცრათ არ ეპყრობაო, სოფლებმა გამოიღვიძეს, მოდიან და თან მოაქვთ თოფები. ჩასავის ხეო-

ზიდანაც ასეთი ცნობები მივიღეთ. ხალხი ყველგან მოდის, ჯარში გასაწვევი ახალგაზრდები გამოცხადდენ.

როკის მიმართულებით შენგელიას რაზმმა გადაიარა მადლობები, როკას დაუახლოვდა და საღამოს კოშკის ხეობაში დაბანაკდა. იქ დელეგაცია გამოცხადდა როკიდან და ითხოვა: იარაღს ჩაგაბარებთ, მხოლოდ როკაში ნუ შემოხვალთო. როკიდან ცნობა იყო, ახალგაზრდებმა გადასწყვიტეს: დავიხოცებით და იარაღს არავის მივცემთო.

ღამით ცნობა მივიღეთ, რომ 7-ს დილით გასული ცხენოსანთა ნაწილი და ცხინვალის გვარდია პატარა ლიახვის ხეობაში მშვიდობიანად შევიდა და განიარაღება დაიწყოო.

ობოლი მგზავრი.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ „დღიურში“ სწერია: დემოკრატიის ძლიერება (მოწინაამდეგეთა ძალამ დაჩრდილა, ჩრდილოეთის (ოსეთის) იდეებმა თავისი ბაზარი სომხეთში იპოვა— უნდა იყოს: სამხრეთში იპოვა და სხ.

## სასამართლოში

გაზეთ „ვოზროჟდენიის“ მე-9 ნომერში მოთავსებული იყო ბორჩალოს მაზრიდან გამოგზავნილი კორესპოდენცია, რომელშიაც, სხვათაშორის, ნათქვამი იყო: „გუმეტის პარტიის ლიდერი შარიფოვი ფულებს კრეფს გლეხებში და შეკითხვაზე თუ რა დანიშნულება აქვს ამ ფულებს—უპასუხა—ფულს ვაგროვებ ჩემი ქორწილისთვისო“.

ამის გამო შარიფოვმა ცილის წამებისათვის პასუხისგებაში მისცა გაზეთ „ვოზროჟდენიის“ რედაქტორი. საქმის გარჩევა დანიშნული იყო მე-4 მომრიგებელ მოსამართლეს განყოფილებაში. 20 დეკემბერს საქმის გარჩევაზე გამოცხადდენ მომჩივანი შარიფოვი, რომელმაც საქმის წარმოება ყველა იმ ფულებებით, რომელნიც აღნიშნულია ს. ს. წ. 48 მუხ., მიანდო ნაფიც ვექილს დ. ონიაშვილს. „ვოზროჟდენიის“ რედაქციიდან გამოცხადდა ბრალდებული გორდელაძე. მხარეთა წინადადება მიეცათ მორიგებით გაეთავებინათ საქმე, რაზედაც მომჩივანი მხარე დასთანხმდა იმ პირობით, თუ იმავე გაზეთ „ვოზროჟდენიაში“ იქნება დაბეჭდილი წერილი, რომ მომჩივანის შარიფოვის შესახებ მე-9 ნომერში დაბეჭდილი ცნობა არის შეცდომით მოთავსებული. ბრალდებული დასთანხმდა ამაზე და საქმე თანახმათ მხარეთა [illegible] სამუდამოთ.

## ს.-დ. პარტიაში

**პარტიული მუშაობა გორის მაზრაში.**

გორის სამაზრო კომიტეტმა თავის უკანასკნელ კრებაზე იმსჯელა გორის მაზრაში ბალშევიკურ გამოსვლების შესახებ და დაასკვნა, რომ საჭიროა გასამკეცება მუშაობისა იდეური პროპაგანდის საშუალებით. აგრეთვე ევალება ყველა მოწინავეთ მაზრაში მიაქციონ ყურადღება ს.-დ. პარტიის წევრთა და თანამგრობითა მჭიდრო შეკავშირებას ორგანიზაციების საშუალებით.

გორის მაზრა უდიდესი მაზრაა საქართველოში და მისი შუაგულია. ამიტომ ყოველ ამა თუ იმ მოძრაობას ქართლში მას აქვს ტონის მიმცემი ხასიათი. ამისათვის ეთხოვოს ცენტრ. კომიტეტს გამოგზავნოს გამოცდილი პროპაგანდისტები ამ მაზრაში ხანგრძლივი მუშაობისათვის.

ყველაზე ადრე ყურადღება კი მიქცეს იმ მხარეებს, სადაც ასე თუ ისე ჰქონდა ადგილი ბალშევიკურ გამოსვლებს.

სწორედ ამ მიზნით გორის სამაზრო კომიტეტის მითითებით ორგანიზაციების მოსაწყობათ და აღსადგენათ გავემგზავრეთ ცხინვალში. წინასწარ მოწვეულმა ძველი კოლექტივის და მოწინავე პირთა კრებამ გამოარკვია, რომ ცხინვალის რაიონში ძალები არიან. მხოლოდ დღემდე გამოცდილი ორგანიზატორის და ხელმძღვანელის უყოლობის გამო შეკავშირებას ვერ ახერხებდენ. ამავე მიზეზით დაიშალა ძველათ შედგენილი ორგანიზაციებიც.

ჩვენმა მისვლამ ამხანაგები გამოაცოცხლა—ძალა და ენერგია შემატა. გადაწყდა ჩამოგვევლო მთელი ცხინვალის სათემო და ადგილობრივ მოგვეწყო ორგანიზაციები და გაგვემართა მიტინგები.

მასასთან საუბარმა გამოარკვია, რომ ხალხი არ იცნობს ჩვენი რესპუბლიკის მდგომარეობას, რაც ხელს უწყობს გლეხების პროვოკაციის ანკესზე წამოგებას.

გამოირკვა კიდევ, რომ პროპაგანდისტები უფრო ცენტრებში მიდიოდენ და გარშემო სოფლებს კი უყურადღებოთ სტოვებდენ.

ჩამოვიარეთ მთელი სათემო და 20-მდე კრება გავმართეთ.

მთელს სათემოში მოვაწყვეთ ორგანიზაციები. საორგანიზაციო უბანი, რომელშიაც შედის ორი სამი სოფელი, მიჩნეულია ერთეულ იაჩეიკათ. ასეთი უბნის იაჩეიკებს დაყოფილია ათეულებათ, რომელთაც სათავეში უდგანან ათის თავები. უმთავრესი მოვალეობა ათის თავისა არის კრებაზე დაუძახოს ათეულს, მოაგროვოს მათში საწევრო ფული, მოახდინოს ახალი წევრთა რეგისტრაცია და წარადგინოს იგი დასამტკიცებლათ. იდეიური ხელმძღვანელობა კი ევალება უბნის იაჩეიკიდან საერთო კრებაზე არჩეულ წარმომადგენელს. ეს უკანასკნელი არის აგრეთვე კოლექტივის წევრიც. მთელს ცხინვალის სათემოში კოლექტივი არის ერთი, რომელთანაც კავშირი აქვს ყველა უბნების იაჩეიკებს.

უბნის წარმომადგენელი, იგივე კოლექტივის წევრი, ვალდებულია მორიგ კოლექტივის კრებაზე წარმოადგინოს საბუთი იმისა, რომ მას ჰქონდა უბნის იაჩეიკის კრება და გააკეთა მოხსენება კოლექტივში გარჩეულ კითხვების შესახებ. დაწესდა სასტიკი 3 სუ-ის ნგებლობა პარტიულ მუშაობაში. სულ ცხინვალის სათემოში არის 10 საუბნო იაჩეიკა. შესდგა ახალი კოლექტივი 9 კაცისაგან: 1) ძასოხოვი ალექსანდრე, 2) გოგინოვი ალექსანდრე, 3) გოგიჩაშვილი შაქრო, 4) ნადირაძე სიკო, 5) მეშვილდიშვილი ნიკა, 6) ბუჯიანიშვილი ვანო, 7) ჯოხაძე გიგუცა, 8) კასრაძე შაქრო, 9) გოგინაშვილი გოლა.

კანდიდატებათ: 1) ნაცვლიშვილი შაქრო, 2) ხახანოვი, 3) ჯალაბაძე გიორგი, 4) დოიჯაშვილი ლექსო, 5) კიკვილაშვილი ელიოზი.

პრეზიდიუმში: გოგიჩაშვილი შაქრო (თავმჯ.), გოგინოვ ალექსანდრე (ამხანაგი), გოცირიძე (მდივნათ), ხახანოვი (ხაზინადრათ), საპატიო თავმჯდომარეთ ალექსანდრე ძასოხოვი.

კოლექტივის კრება იმართება თვეში ორჯერ, პრეზიდიუმის კი კვირაში ორჯერ. უბნის კრებები იმდენჯერვე, რამდენჯერაც იკრიბება კოლექტივი.

ყველა ათის თავების მიერ წარმოდგენილი იქნა ერთდროული და საწევრო გადასახადი.

ანალოგიური კრებები გაიმართა მეჯვრის ხევში. მოხეტიალე რაჭველი.

## მუშათა შორის

**თფილისის ხელზე მოსამსახურეთა ცხოვრებიდან.** რესტორან სასტუმროების პატრონები ეწეოდენ და დღესაც ეწევიან მუშა-მოსამსახურეთა შეუბრალებელ ექსპლოატაციას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში ეს ერთად-ერთი პროფესიის მუშა-მოსამსახურეები არიან, რომელთა ინტერესები ძველებურათ ბ-ნი „ხაზეინისაგან“ ფეხქვეშ ითელება. აღნიშნულ მოსამსახურეებს არც ძველი თაობის და არც ახალისას, არ ღირსებიათ განსაზღვრული ხელფასი.

მართალია შრომის სამინისტროს მიერ გამოცემული დეკრეტი, რომლის ძალითაც ხაზეინებს არ შეუძლიათ მუშა მოსამსახურეთა აყვანა, თუ ის პროფ. კავშირის წევრი არ იქნება, მაგრამ კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ხაზეინებმა ეს დეკრეტიც ფეხქვეშ გასთელეს, რასაც სამწუხაროთ, შრომის სამინისტრო შესაფერ ყურადღებას ვერ აქცევს.

რესტორანის პატრონები ვისაც მოისურვებენ იმას იღებენ სამსახურში და სრულიადაც არ დაგიდევენ პროფეს. კავშირის წევრია თუ არა. ასეთებთან ბრძოლაში ჩვენი კავშირის გამგეობა მართლია ყოველივე ღონეს ხმარობს, მაგრამ ვინაიდან გათავხედებული დამქირავებლები მათ შესაფერ ანგარიშს არ უწევენ, ამიტომ მუშათა კანონიერი მოთხოვნილება ფეხქვეშ ითელება. ამ ვაჟბატონებს ამ ბოლო ხანებში სულ ჩვენი მთავრობის საყვედურები აკერიათ პირზე,—რატომ ამდენი გადასახადები შეგვაწერესო და ამის იგვლივ ათას ნაირ პროვოკაციას ეწევიან ჩვენი დემოკრატიული წესწყობილების დასამხობათ. ჩვენი მთავრობის ლმობიერებამ ზოგიერთი მათგანი ამ ბოლო ხანებში გაათამამა. ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ჩვენი პროფ. კავშირის გაგზავნილი კაცი მივა მათთან რაიმე საქმეზე, ისინი ლანძღვა-გინებით და უშვერი სიტყვებით უმასპინძლდებიან და თანაც დასძენენ: თუ მოვიდა დენიკინი, თქვენს ჯავრს მაშინ ამოვიყრითო. აქ აუცილებლათ საჭიროა შრომის სამინისტროს მიერ გადადგმული სამართლიანი და გაბედული ნაბიჯები და ჩვენც ველით ამას დაჩქარებით.

გათავხედებულ ხაზეინებს თავიანთი სურვილისამებრ აყავთ ხალხი ქუჩიდან და ისევე ისტუმრებენ. ამ მიზეზის გამო ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები გარბიან პროფ. კავშირიდან და გული უცრუვდება მასზე.

ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ შრომის სამინისტროსაგან შესაფერი ნაბიჯების გადადგმას. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა ეს სენი უფრო ფართეთ სხვა პროფესიის მუშა-მოსამსახურეებზე გადავა—მთლიანი ფრონტი დაირღვევა და მით მუშათა ორგანიზაციებიც შესუსტდება, შემდეგ კი გვიანღა იქნება თითზე კბენანი.

თეოფანე ზემო აკეთელი.

**ვერის გამრთობი საზოგადოება.**

23 დეკემბერს ვერის მუშათა კლუბის დარბაზში შესდგა ვერაზე არსებული გამრთობი ს—ბის წევრთა მეორე საზოგადო კრება. კრებას დაესწრო ს—ბის 60 წევრი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა გ. უსეინაშვილი, მდივნათ მ. ტულუში. კრებამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება გამგეობის ხუთი თვის მუშაობის შესახებ; 2) ახალი გამგეობის წევრთა არჩევნები; 3) სარევ. კომისიის არჩევნები. პირველი კითხვის შესახებ გამგეობის კულტურულ მუშაობაზე მოხსენებას აკეთებს კ. კალანდარიშვილი, ხოლო ფინანსიურზე ნ. ნიკიტინი.

მოხსენების გათავების შემდეგ არის შეკითხვები, რომელსაც სათანადო პასუხი ეცემა. შემდეგ კრება გადადის მოხსენების არსებით და განხილვაზე. მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ვერაზე არსებულ გამრთობი საზოგადოების წევრთა 23 დეკემბრის საზოგადო კრებამ, მოისმინა რა ს—ბის გამგეობის მოხსენება ხუთი თვის მუშაობის შესახებ კულტურულ სფეროში, იწონებს მას და მადლობას უცხადებს გამგეობას თავისი დაუღალავი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ხოლო ქონებრივ მხარეს გადასცემს მომავალ სარევიზიო კომისიას განსახილველად“. შემდეგ კრება გადადის არჩევნებზე გამგეობაში ფარული ხმით არჩეულ იქნენ შემდეგი პირები (ცხრა კაცი სამი კანდიდატით): ნ. ნიკიტინი, ი. ბაბილოძე, ს არეშიძე, კ კალანდარიშვილი, მ. ბერეჟანი, ნ. კიკნაძე, ფ. ჩიხლაძე, დ. კიკნაძე, ს. კატანჯიანცი. კანდიდატებათ: ს. კერესელიძე, ი კაპანაძე, ნ. აღლაძე. სარევიზიო კომისიაში: გ. მაჭავარიანი, ივ. მესხი და ლ. პერიტაშვილი. —ი.

## პროვინცია

**წალენჯიხა.** 12 დეკემბერს, 12 საათისთვის თავი მოიყარა ადგილობრივმა გლეხობამ პარკში, სადაც მოვიდნენ ადგილობრივი სასწავლებლის მოწაფენი მასწავლებლებითურთ. სასიამოვნო სანახავი იყო პატარა ბავშვები წითელი დროშებით, რომელნიც თავიანთ მწყობრი სიხარულით და მოძრაობით მაყურებლის თვალსა სტაცებდნენ. პირველად სიტყვა წარმოსთქვა და განუმარტა დამსწრეთ დ-ის მნიშვნელობა სკოლის გამგემ მასწ. ვ. მიქაძემ.

შემდეგ მოკლე სიტყვით დაახასიათა გვარდია და მისი მნიშვნელობა გ. სალარიძემ, რომლის დასასრულსაც ხალხმა ვაშას ძახილით დღეგრძელობა უსურვა გვარდიას, მთავრობას და დემოკრატიულ რესპუბლიკას. რის შემდეგაც ხალხი სახე გაბრწყინვებული და აღფრთოვანებული დაიშალა. ადგილობრივი სადგურიც ამ დღის სადღესასწაულოდ იყო მორთული.

ამ ჟამად აქეთ მშვენიერი ამინდებია. ხოლო რას გიშველის ამინდი, როდესაც ხალხი დიდ განსაცდელის წინაშე სდგას: უკვე გაუთავდათ ის მცირე მოსავალი, რომელიც წლევანდელმა პირნახულმა მისცა. ადგილობრივმა კოოპერატივის გამგეობამ მიიღო ზომები და გაგზავნა კახეთში რწმუნებული შესაფერი მოწმობით ერობიდან, მაგრამ როგორც გამოირკვა, იქ ადგილობრივი ერობის განკარგულებით დაკავებული ყოფილა შეძენილი პირნახული.

ყოველ დღე გაუთენებლივ აყარებული ხალხი აწყდება კოოპერატივს ტომრებით და სიმინდს ითხოვენ. შემოაქვთ ფული მაგრამ გამგეობას არ ძალუძს დააკმაყოფილოს თვისი წევრები. დროა სურსათის საქმე კოოპერატივებს მიენდოს. ვინაიდან მხოლოდ მათ შეუძლიათ სურსათის თანასწორათ განაწილება. კერძოთ ადგილობრივ კოოპერატივს დიდის ნდობით შეჰყურებს ხალხი.

ადგილობრივ სასწავლებელში ასამდე მოწაფეა ორთავე სქესისა სამი მასწავლებლით. სწავლა წესიერათ სწარმოებს და ხალხი დიდის ხალისით მოეკიდა სწავლა-განათლების საქმეს, მეტადრე განახლებულმა ეროვნულმა სკოლამ გაუღვიძა ხალხს მიძინებული სადღაც სწავლისადმი ლტოლვა. დახავსებული ძველი ბიუროკრატიული სკოლით დამფრთხალი ხალხი, კვლავ სიამოვნებით დაეწაფა განათლებას. სკოლის გამგის წინადადებით განზრახვა აქვს ხალხს ახლო მომავალში დაარსონ სასწავლებელთან სახელოსნო განყოფილება. შესაფერი ბინა მზად არის; თუ, რასაკვირველია, ერობამ შეიწყნარა და საჭირო თანხა გაიღო. სარწმუნო წყაროებიდან შევიტყეთ, რომ სულ ახლო მომავალში ჩვენი აგარაკი ეღირსება ელექტრონულ განათებას შეძენილია მატორი, დაქირავებულია ტეხნიკოსი. მომავალ სეზონში მოაგარაკეთ ჩინებული განათება ექნებათ: მხოლოდ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ამ აგარაკს, ვინაიდან თავისი მდებარეობით, წყლით და საუცხოვო ბუნებით და ჰავით ბრწყინვალე მომავალი მოელის.

ოდესღაც წვრილი სესხის ამხანაგობა არსებობდა. ამ ჟამად როგორც სხვაგან, აქაც აღარ მოქმედობს, ხალხი დაინტერესებულია ამ დაწესებულებით, რადგანაც ნათლად უგემნია მისი სარგებლობა, ადებული სესხად ფულიც მზადა აქვთ, მხოლოდ ბანკი არსად არის, რომ ჩააბარონ. კარგი იქნება იანვრიდან მოწესრიგდებოდეს ამ სიმპატიური და სასარგებლო დაწესებულების საქმე.

ტაბაწყურელი

**ვანის თემი (საჩინო).** საჩინოში ვანის თემი საუკეთესოთ ითვლება: არსებობს ლამაზი ბაზარი, ფოსტა-ტელეგრაფი, აფთიაქი, ექიმი, ტელეფონი, სამკითხველო პირველდაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი და სხვა. გზები ჩინებულია, მხოლოდ ესაა, რომ ეს თემი ქალაქ ქუთაისის და სამტრედიაზე დაშორებულია და მისვლა-მოსვლას ძლიერ აბრკოლებს მდ. რიონი. რიონზე ბევრგანაა გამართული ბორანი, მაგრამ მგზავრობა მათზე აუტანელია: მთელი დღე უნდა იცადო მეორე ნაპირზე გასასვლელათ. თითო ურმის გაყვანა ღირს 25 მ. წყალდიდობა თუა, მაშინ ყველგან შეწყვეტილია ბორანის მუშაობა. უკანასკნელმა წყალდიდობამ სულ გაახრა სანოოები. თემს რიონის პირზე ძალიან მოსავლიანი ადგილები აკრავს, მაგრამ წელს სიმინდი ძალიან მცირე მოსულა; ასეა ღვინოც.

პ. მელაძე.

## სახალხო გვარდიისთვის

12 დეკემბერს გვარდიის დღესასწაულზე ქ. ხესტაფონში შორაპნის სამაზრო სახალხო გვარდიის შტაბის სასარგებლოდ შემოვიდა:

| | |
|---|---|
| წარმოდგენიდან | 6050 მან. |
| ბუფეტიდან | 4930 „ |
| სულ | 10980 „ |

გასავალი:

| | |
|---|---|
| წარმოდგენის მოწყობაზე | 788 მ. 50 კ. |
| ტრიბუნის გასაკეთებელი | 140 „ — „ |
| ბუფეტისათვის | 2882 „ 50 „ |
| სულ | 3811 „ 00 „ |

წმინდა შემოსავალი დარჩა 7169 მანეთი; ამაში 1—100 მანეთიანი და 1—50 მანეთიანი აღმოჩნდა ყალბი.

შორაპნის სამაზრო სახალხო გვარდიის შტაბი ულრმეს მადლობას უძღვნის დღესასწაულის მომწყობ კომისიის წევრებს და აგრეთვე თანამგრძნობებთ, რომელთაც ხელი შეუწყვეს დღესასწაულის ბრწყინვალეთ ჩატარებას.

შტაბი ულრმეს მადლობას უძღვნის აგრეთვე საქარის სანერგის მუშა-მოსამსახურეთ, რომელთაც აღნიშნულ შტაბს დღესასწაულის აღსანიშნავათ შემოსწირეს 245 მან. და ხესტაფონში მცხოვრებს კოლია ქუთილაძეს, რომელმაც შემოსწირა ამავე მიზნისთვის 40 „პაჩკა“ პაპიროზი.

შორაპნის სამაზრო სახალხო გვარდიის შტაბი.

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ იოსებ გედევანიშვილს, რომელმაც 500 მან. შესწირა სახ. გვარდიის საგანგებო ბატალიონის და საინჟინერო გუნდის კულტ. განმანათლებელ სექციას მუშაობის გასაფართოებლათ.

მინდობილობით დ. ორაგველიძე.

სახალხო გვარდიის გურიის სამაზრო შტაბი და ზეიმის მომწყობი კომისია ულრმეს მადლობას უცხადებს ცეცილია წუწუნავას, პელო საბაშვილისას, ქეთია მამულაიშვილს, სამსონ ხურციძეს, ზაქრო ურუშაძეს, სევასტი დოლიძეს, კოლია დოლიძეს და ყარამან ქარცივაძეს, იმ თავდადებული შრომისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს გვარდიის დღესასწაულის დღეს დადგმულ „პატარა კახი“-ში მონაწილეობის დროს და აგრეთვე დათიკო თოხაძეს, რომელმაც მოაწყო სადღესასწაულო მოედანი.

მინდობილობით კომისიის თავმჯდომარე სამაზრო შტაბის წევრი რ—ძე ჩხაიძე.

## წერ. რედაქციის მიმართ

მადლობას ვუცხადებთ ლევან აბელის ძე ანდრონიკაშვილს, რომელმაც ს. გურჯაანის და ვეჯინის თემის საჭიროებისათვის დაუთმო თავისი საკუთარი სახლი ოთხი ოთახი თავისი ეზოთი ხუთის წლის ვადით პირველ დაწყებითი უმაღლესი სკოლის საჭიროებისათვის.

გურჯაანის და ვეჯინის თემის გამგეობა.

„ერთობა“-ის მე-217 №-ში მოთავსებულია წერილი სათაურით „რკინის გზაზედ“ ვინმე გ. უჯარაშვილის მიერ, სადაც აცხადებს, რომ 14-9-ს დილის 6 საათზედ ის მოდიოდა შიო-მღვიმის ბაქანიდან. დასახელებულ ბაქანზედ ბილეთები არ იყიდება, ამის მაგიერ კონდუქტორი თვით მატარებელში ჰყიდის კონტრამარკებს მცხეთამდი, აქედან კი მგზავრი იძენს სამგზავრო ბილეთს მისთვის საჭირო სადგურამდინ. აღნიშნულ რიცხვში მან დიდხანს უცადა კონდუქტორს, მაგრამ ის არ მოვიდა, ამ დროს გამოიარა მატარებლის რევიზორმა გოგოლაძემ, რომლის შეკითხვაზე მან უჯარაშვილმა მისცა განმარტება, რომ ის მოდის ბაქანიდან, მაგრამ გოგოლაძემ ეს არ დაიჯერა, წარადგინა მცხეთაში, როგორც უბილეთო და ფულიც მეტი გადაახდევინეს. ამ საქმის შესახებ გამოძიებამ გამოარკვია, რომ სწორეთ იმ ვაგონში, რომლითაც უჯარაშვილი მიდიოდა, რევიზორის გავლამდი გაუვლია კონდუქტორს, რომელსაც გაუყიდნია შიო-მღვიმის ბაქანზედ დამჯდარ მგზავრებზე 11 კონტრამარკა. ამას ამტკიცებს, როგორც კანტრამარკების ძირადი და მოწმეების ჩვენება, ისე მგზავრებიდან აკრეფილი ბილეთებიც და თუ მოქალაქე უჯარაშვილმა ვერ ნახა კანტრამარკის გამყიდველი კონდუქტორი, ეს იმიტომ, რომ მას სურდა უბილეთოდ ემოგზავრნა და ამ მიზნით ის დაემალა რევიზორს ვაგონში გარედან შესასვლელ კიბეზედ დაჯდომით, სადაც აღმოჩენილი იყო მილიციონერ საყვარელიძის მიერ. სამწუხაროა, რომ იმისთანა კაცი, რომელიც ცდილობს თავისი მოქმედებით რესპუბლიკის საქმეს ზიანი მიაყენოს, სარგებლობს ბეჭვდის თავისუფლებით და გაზეთის ფურცლებზე გამოაქვს იმისთანა ცნობები, რომელსაც სინამდვილეში ადგილი არ ქონია. უჯარაშვილის განცხადება მორიგი ცილის წამებაა რკინის გზის აგენტებისადმი.

ექსპლოატაციის უფროსი აბელაშვილი.


## განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება
თვიური
**პედლის კალენდარი**
1920 წ. ფასი 10 მანეთი.
საწყობი: ქალაქთა კავშირის სტამბა, პუშკინის ქ. № 3. (ნ. 3—2)

**დაიკარგა**
დათიკო ყარამანის ძე ჩხიკვაძის მოწმობა, № 286 მიღებული ჩოხატაურის თემის სამმართველოში და მასთან მეტრიკული ამოწერილობა № 287, რაც ითვლება გაუქმებულად (3389 1—1)

17 დეკემბერს ავლაბრის რაიონში
**დაიკარგა**
უბის წიგნაკი. მნახველს ვსთხოვ მომიტანოს (თუ გინდ დახეული) ჩერქეზიშვილის ქუჩით, ანტონოვის ქ. № 18, სტამბის ეზოში (9 კომის.) ტერ-ნერსესოვს, რისთვისაც მიიღებს ჯილდოს.
(3388—1—1)

ექიმი ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშვალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლევების, ჭლექის და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ფიზიოთერაპევტიური კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—8 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (თ.3372)

თვალის ექიმი
**ზ. მ. სხვედაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი.
(თ. 3322)

ექიმი დ. მ. ჯაჯანიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64 (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ექიმი ნ. დ. ტურაშვილი
იღებს შინაგან, საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 1—2 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 8—9. მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს.
(თ.—3023)

ექიმი ქალი [illegible]
მედიცინის დოქტორი [illegible] უნივერსიტეტის [illegible] მედიკურ [illegible] იღებს ყოველდღე [illegible] ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას [illegible] („606“—„914“) დილის 10—12 ს. და საღამოს 5—6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

ექიმი შ. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“). ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
**გ. გ. მებრაგიანი**
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექის ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.
3230—თ.

ქალ. სამტრედიაში
ექიმი ი. ი. ჭეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606“ და „914“) ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

ექიმი ქალი ე. ს. ბებურიშვილი.
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28.
(თ. 3065).

ექიმი ა. ლევენშტეინი
შინაგანი ავადმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჭლექის ავადმყოფობათ. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გრიბოედოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ექიმი კ. ტუშმალიშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

**ოზურგეთში** ექიმი ს. მ. ახაშიძე
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჭლექის ექიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით, ქ. სიმაიშვილის სახლში. (კუპ. 582)

ექიმი დ. ა. ხარაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ვაკის ბულვარის ახლო.

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**
(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)
ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 სახ.
ექ. ვართანოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ და საიკუშერო ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი იოხელიანი ქალთა სნეულ საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 სახ—1.
რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით. „606“ და „914“
(2930—თ.)

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.
შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი ნიკოლოზ ჩახვიშვილი
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, (ზემელის აფთიაქის ახლოს)
(2795—თ.)

ექიმი ა. დ. ქავთარაძე
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

8 იანვარს იხსნება საღამოს ქართული განათლების
პირველ დაწყებითი **კურსები** ორთავე სქესის სწავლა-განათლებას
ჩამორჩენილ მუშათათვის. (ი. მ. მაჩაიძის გიმნაზიის კურსები, ჩერქეზიშვილის ქ. № 22) 9—1 საათ. საღამოს დამაარსებლის ბინაზე, მიხაილოვის პროსპ. № 25. კუთხე ალექსის ქუჩა. № 5. (3387 3—1)